ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 132 (20828) — სამშაბათი, 5 ივნისი, 1990 წელი. — ფასი 3 კაპ.

ვაშინგტონში ხელი მოაწერეს სსრკ-აშშ შეთანხმებებს

ვაშინგტონი, 3 ივნისი. **საკადრესო ხეც. კორ. ალექსანდრე კოროლიოვი და ვიტალი ჩუკანცევი იუწყებიან:** ამერიკის შეერთებულ შტატებში სსრ კავშირის პრეზიდენტის მ. ს. გორბაჩოვის სახელმწიფო ვიზიტის ფარგლებში სახელმწიფო დეპარტამენტში გაიმართა საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმებათა ხელმოწერა, კერძოდ, ხელმოწერილია შეთანხმებანი ვაშინგტონსა და მოსკოვში სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებული შტატების კულტურულ-საინფორმაციო ცენტრების დაწესების შესახებ, სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საბაჟო სამსახურებს შორის თანამშრომლობის შესახებ, აგრეთვე ჟურნალების „სოვიეტ ლაიფისა“ და „ამერიკის“ ტირაჟის გადიდების შესახებ.

ხელმოწერილი დოკუმენტების თანახმად, მიღებულია გადაწყვეტილება ორი ქვეყნის დედაქალაქში გაიხსნას კულტურულ-საინფორმაციო ცენტრები, რომლებიც მოწოდებული არიან უფრო ფართოდ გააცნონ ამერიკელებსა და საბჭოთა ადამიანებს ორი ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა ასპექტები. გარდა ამისა, ისინი ითვალისწინებენ თანამოქმედების გაფართოებას საბჭოთა კავშირისა და ამერიკის საბაჟო სამსახურებს შორის, უწინარეს ყოვლისა, ნარკოტიკების კონტრაბანდის შემთხვევების გამოვლენისა და აღკვეთის საქმეში.

მნიშვნელოვნად გაიზრდება ჟურნალების „სოვიეტ ლაიფისა“ და „ამერიკის“ ტირაჟები, რომლებიც ყოველთვიურად გამოდის პარიტეტულ საფუძველზე შესაბამისად შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირში.

ორი სახელმწიფოს ხელსაყრელი თანამშრომლობის გაფართოების გზით გადადგმული კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდა შეთანხმებანი, რომლებსაც სსრ კავშირის საელჩოში მოაწერეს ხელი ამერიკის საქმიანი წრეებისა და საბჭოთა კავშირის მთელი რიგი სამინისტროების წარმომადგენლებმა. მათ განიკუთვნება, კერძოდ, შეთანხმება კორპორაცია „შევრონ ოვერსისთან“ ერთობლივი საწარმოს დაწესების შესახებ, რომელიც დაამუშავებს ნავთობგაზის საბადოს ყაზახეთში, აგრეთვე მორიგება იმის თაობაზე, რომ კორპორაცია „იბმ უორლდ თრეიდი“ უახლოეს წლებში საბჭოთა სკოლებს გამოუგზავნის 13 ათას პერსონალურ კომპიუტერს.

როგორც ამერიკის მხარის სახელით განაცხადა „შევრონ ოვერსისის“ პრეზიდენტმა რიჩარდ მაცკემ, ეს დოკუმენტები მოწოდებულია კიდევ უფრო მეტად გააღრმაონ ორი დიდი სახელმწიფოს სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა. „უკანასკნელი დღეების მანძილზე ვაშინგტონში ბევრი სასიკეთო მოვლენა მოხდა აშშ-სსრ კავშირის ურთიერთობის სფეროში,“ — განაგრძო მან. — მომხდარის დიდ მნიშვნელობას განსაკუთრებით კარგად გავიგებთ იმ ახალ შესაძლებლობათა პირობებში, რომლებიც ახლა ისახება ჩვენს წინაშე. ერთად უნდა დავამუშაოთ გიგანტური ნავთობის საბადო „თენგიზი“ ყაზახეთში, იგი უდიდესია ნავთობის მარაგის მხრივ უკანასკნელ ათწლეულში აღმოჩენილ საბადოებს შორის. დადებული ხელშეკრულების თანახმად, მუშაობა იწარმოებს თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით, რომლებიც ყველაზე მაღალ ეკოლოგიურ სტანდარტებს შეესაბამება“.

„უაღრესად მნიშვნელოვანი და პერსპექტიული“ უწოდა ხელმოწერილ შეთანხმებას სსრ კავშირის პრეზიდენტის საბჭოს წევრმა ი. დ. მასლიუკოვმა. „იმ დიდ პროექტებს შორის, რომელთა განხორციელებასაც ვაპირებდით ამერიკის მხარესთან ერთად, — აღნიშნა მან, — დღევანდელს სამართლიანად შეგვიძლია ვუწოდოთ № 1 პროექტი. იგი მტკიცე საფუძველი გახდება სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის, ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირის დამკვიდრებას მსოფლიო-სამეურნეო ურთიერთობის სისტემაში“.

სსრ კავშირის ნავთობისა და გაზის მრეწველობის მინისტრმა ლ. ი. ფილიმონოვმა თქვა, რომ „გადაიდგა დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც გამოხატავს ორი ქვეყნის ხელმძღვანელთა მიერ წინა დღით მიღწეულ დიდსა და მნიშვნელოვან მორიგებებს“. „ჩვენ,—ხაზი გაუსვა მან, — გაერთიანებული ძალისხმევით შევძლებთ სწრაფად და ეფექტიანად შევასრულოთ ის ძნელი ამოცანები, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას“.

შეეხო რა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი პროგრამის განხორციელებას, რომლის მიზანია საინფორმაციო ტექნიკის დანერგვა სასკოლო განათლებაში, კორპორაცია „იბმ უორლდ ფრეიდის“ თავმჯდომარემ მაიკლ ამსტრონგმა, კერძოდ, განაცხადა: „ჩვენი საერთო მიზანი ის არის, რომ მასწავლებლებს ჰქონდეთ უკეთესი მომზადება, ხოლო სტუდენტებმა უფრო ღრმა ცოდნა მიიღონ. ვიწერთ რა ხელს ერთობლივი თანამშრომლობის შეთანხმებას, ჩვენ იმით ვხელმძღვანელობთ, რომ საბჭოთა სპეციალისტების კვალიფიკაცია ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მსოფლიოში. ჩვენ მათგან და მათთან ერთად ვისწავლით. გვჯერა, რომ თანამშრომლობა ხანგრძლივი და წარმატებული გვექნება“.

საპასუხო სიტყვაში სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მეცნიერების, სახალხო განათლების, კულტურისა და აღზრდის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ა. რიჟოვმა აღნიშნა: „ხელმოწერილი დოკუმენტები შესაძლებელი გახდა იმის წყალობით, რომ ჩვენი ორი ქვეყნის ლიდერებმა გამოაცხადეს გადასვლა გრძელვადიან და მტკიცე თანამშრომლობაზე. ისინი არა მარტო მიანიშებენ ახალ იმპულსს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის განვითარებას, არამედ ხელსაც შეუწყობენ საბჭოთა კავშირში განათლების სისტემის სრულყოფას“.

ვაშინგტონში საბჭოთა ხელმძღვანელის ყოფნის ბოლო დღე

ვაშინგტონი, 3 ივნისი. (**საკადრესო ხეც. კორ.**). დადგა ვაშინგტონის უმაღლესი დონის შეხვედრის ბოლო სამუშაო დღე. დილის 10 საათზე სსრ კავშირის პრეზიდენტის ავტომანქანა თეთრ სახლს მიუახლოვდა. ახლომდებარე ქუჩები ხალხით არის სავსე. ვაშინგტონის მცხოვრებნი მოვიდნენ აქ, რათა მაღლობა გადაუხადონ მ. ს. გორბაჩოვს ორ ქვეყანას შორის ნდობის განმტკიცებისათვის ძალისხმევის გამო, უსურვონ მას ბედნიერი მგზავრობა. დღითი დღე მით უფრო იზრდებოდა ამერიკელთა სიმპათიები უმაღლესი დონის შეხვედრისადმი, რაც უფრო მეტ სუფთა ოდენობას ავლენდნენ ორი სახელმწიფოს ხელმძღვანელები ერთმანეთის შესახებ.

ფინჩან ყავაზე ხანმოკლე საუბრის შემდეგ მ. ს. გორბაჩოვი და ჯ. ბუში გავიდნენ თეთრი სახლის აღმოსავლეთ დარბაზში, სადაც დაიწყო მათი ერთობლივი პრესკონფერენცია.

ჟურნალისტებთან შეხვედრის შემდეგ ჯ. ბუში და მ. ს. გორბაჩოვი მეუღლეებითურთ მივიდნენ მანქანასთან, რომელიც ელოდა სსრ კავშირის პრეზიდენტს. ჩაჯარა მოლაპარაკების ოთხმა დღემ, რომელსაც მსოფლიო პრესამ „მეოცე საუკუნის უდიდესი მოვლენა“ უწოდა. ერთმანეთს ხელს ართმევენ და წარმატებას უსურვებენ სახელმწიფო მოღვაწეები, რომელთა სახელთან, ალბათ, დაკავშირებული იქნება მსოფლიო ისტორიის მტკიცე შემობრუნება ციხე-სიმაგრეთა აღებისა და ბარიერების ნგრევის, ურწმუნოებისა და ეჭვიანობის, ომიანობისა და ეკონომიკურ ბოლოდროინდელ ეტაპზე ეროვნული ეკონომიკის ინტენსიფიკაციის, ეროვნული ეკონომიკის ინტენსიფიკაციის, ეროვნული ეკონომიკის ინტენსიფიკაციის,

საქართველოს სს რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძვლების შესახებ

(დასასრული)

ნსაზღვრავს მართვის რესპუბლიკური ორგანოების სტრუქტურას.

საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლება ცალკეულ დარგთა საწარმოების მართვის უფლების გადაცემა სსრ კავშირის მართვის ორგანოებისათვის ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 9. საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ტერიტორიული მართვის ორგანიზაცია

საქართველოს სს რესპუბლიკის სამეურნეო მართვის ტერიტორიული სისტემის ძირეულ რგოლს წარმოადგენენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები, რომლებიც აერთიანებენ დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე განლაგებულ მატერიალური წარმოებისა და მომსახურების სფეროს იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომელთა პროდუქციითა და მომსახურებით ძირითადად ადგილზე სარგებლობენ.

საქართველოს სს რესპუბლიკის ავტონომიური ფორმირებების და სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური მართვა ხორციელდება თვითდაფინანსებისა და თვითმმართველობის პრინციპების საფუძველზე ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საკუთრების ყოველმხრივი განმტკიცებისა და მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ეროვნების მოსახლეობის ინტერესთა გათვალისწინებით, რეგიონების ბუნებრივი პირობების, ისტორიული ტრადიციებისა და მეურნეობის სპეციალიზაციის მიმართულებათა შესაბამისად.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ფორმირებათა მეურნეობის რეგულირება ხდება რესპუბლიკური ორგანოებიდან ავტონომიური ერთეულებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის მართვის ფუნქციების დელეგირებისა და წამახალისებელი, საკომპენსაციო და შემზღუდავი ღონისძიებების მეშვეობით, რაც ქმნის ცალკეული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის ამაღლების პირობებს.

მუხლი 10. თავისუფალი მეურნეობის უზრუნველყოფა და საბაზრო ეკონომიკის განვითარება

საქართველოს სს რესპუბლიკის მეურნეობის იურიდიული და ფიზიკური პირები თავიანთ საქმიანობას აგებენ თავისუფალი მეწარმეობის პრინციპებზე რესპუბლიკის კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში. სახელმწიფო უქმნის მათ საწარმოო, სამეურნეო, საფინანსო და კომერციული დამოუკიდებლობის, კონკურენციის თანაბარ პირობებს; აღიკვეთს მონოპოლიზმს და ხელს უწყობს სხვადასხვა სამეურნეო და საწარმოო ფორმირებების შექმნას. რესპუბლიკის მეურნეობის იურიდიული და ფიზიკური პირები მთლიანად დამოუკიდებელნი არიან თავიანთ სამეურნეოანგარიშად (საქმიანობაში და სრული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ამ საქმიანობის შედეგებისათვის.

საქართველოს სს რესპუბლიკის მეურნეობის იურიდიული და ფიზიკური პირები უშუალოდ არ ექვემდებარებიან სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს, მათი ურთიერთობა რეგულირდება ხელშეკრულებებით, რომელიც ორივე მხარისათვის სამეურნეოანგარიშიანი ურთიერთობის საფუძველია.

მეურნეობის იურიდიული და ფიზიკური პირების ისეთი საქმიანობა, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს სსრ ეროვნულ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და ეკოლოგიურ ინტერესებს, აღიკვეთება სამართლებრივი და ეკონომიკური ხასიათის საშუალებებით.

საქართველოს სს რესპუბლიკაში მოქმედებს თავისუფალი საბაზრო ურთიერთობანი წარმოების საშუალებათა, მოხმარების საგნებისა და მომსახურების, ინტელექტუალურ სიაღლეთა (ინოვაციის), სამუშაო ძალის, კაპიტალისა და ვალუტის მიმოქცევის სფეროში.

მუხლი 11. სამეცნიერო-ტექნიკური, სტრუქტურული და ინვესტიციური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი.

საქართველოს სს რესპუბლიკა ქმნის ხელსაყრელ პირობებს ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური, სტრუქტურული და ინვესტიციური პოლიტიკის განხორციელებისათვის, რომელიც უზრუნველყოფს სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული მაღალეფექტიანი, ეროვნული პრიორიტეტებისა და მსოფლიო ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისად ფუნქციონირებადი და მობილური ეკონომიკის ფორმირებას.

საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები:

— ახორციელებენ სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო პოტენციალის განვითარების, უახლესი, ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნიკისა და ტექნოლოგიების შექმნის, პროდუქციის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების ეკონომიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებათა სისტემას, დამოუკიდებლად განსაზღვრავენ მეცნიერული კვლევის პერსპექტიულ და ეროვნულ პრიორიტეტულ მიმართულებებს, სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიურ კადრებზე მოთხოვნილებებს, მათი მომზადების წესსა და მასშტაბებს;

— ატარებენ ეროვნულ სტრუქტურულ პოლიტიკას, რომელიც უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობაში არსებული დეფორმაციებისა და დიბალანსირების აღმოფხვრის და მაღალკვალიფიციური შრომისა და ტექნოლოგიის უახლეს მიღწევებზე დამყარებული დარგების უპირატესი განვითარების საფუძველზე მაღალი სახალხო-სამეურნეო შედეგების მიღწევას, ისეთ საწარმოო და სოციალურ სტრუქტურათა ჩამოყალიბებას და ტერიტორიულ განლაგებას, რომლებიც ქმნიან ბუნებრივი რესურსების კვლავწარმოების და რაციონალური გამოყენების, გარემოსა და ისტორიულ-კულტურულ ძეგლთა შენარჩუნება-გაფრთხილების პირობებს;

— ახორციელებენ ისეთ ინვესტიციურ პოლიტიკას, რომელიც უზრუნველყოფს კაპიტალდაბანდებათა რაციონალურ განაწილებას საწარმოო და არასაწარმოო სფეროთა, აგრეთვე სახალხო-სამეურნეო კომპლექსებსა და დარგებს შორის ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული და ეკოლოგიური ამოცანების გათვალისწინებით, ახალი მშენებლობისათვის ყველაზე უფრო პროგრესული ტექნიკური და საპროექტო გადაწყვეტილებების გამოყენებას ადამიანისათვის კეთილსასურველი, ჰუმანური და მასშტაბური სასიცოცხლო გარემოს შექმნის, ეროვნული ხუროთმოძღვრების მდიდარი ტრადიციების შენარჩუნება-განვითარების მიზნით.

მუხლი 12. საქართველოს სს რესპუბლიკის თავისუფალი პარტნიორული ურთიერთობები მოკავშირე რესპუბლიკებთან და საზღვარგარეთის ქვეყნებთან

საქართველოს სს რესპუბლიკა ყოველმხრივ უწყობს ხელს სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან საბაზრო ურთიერთობის განვითარებას, საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური, კულტურული და სხვა ხასიათის თანამშრომლობის დამყარებას. თავისუფალი პარტნიორული ურთიერთობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან ხორციელდება პირდაპირი სამეურნეო, კულტურული და სხვა სახის კავშირებით.

საქართველოს სსრ მთავრობა, რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის სხვა ორგანოები ხელს უწყობენ მეურნეობის იურიდიულ და ფიზიკურ პირებს უცხოეთის ფირმებთან პირდაპირი კავშირების დამყარებაში, უქმნიან მათ საქმიანობის ხელსაყრელ პირობებს საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში.

კარი II.

საკუთრება

მუხლი 13. საკუთრების ფორმები საქართველოს სს რესპუბლიკაში

საქართველოს სს რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობა ეფუძნება საკუთრების შემდეგ ფორმებს:

— საქართველოს სსრ მოქალაქეთა ინდივიდუალურ (პირად და კერძო) საკუთრებას;

— კოლექტიურ (კოოპერაციული, კორპორაციული, სააქციო, აგრეთვე საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაციების და მოქალაქეთა სხვა გაერთიანებების) საკუთრებას;

— საქართველოს სსრ სახელმწიფო (საქართველოს სსრ საერთო-სახალხო, ავტონომიური რესპუბლიკების, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების) საკუთრებას.

საქართველოს სს რესპუბლიკაში ნებადართულია აგრეთვე შერეული საკუთრება.

საქართველოს სსრ კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაშვებულია საკავშირო, რესპუბლიკათაშორისი საკუთრება და სხვა რესპუბლიკების, საზღვარგარეთის ქვეყნების, მათი იურიდიული და ფიზიკური პირების, საერთაშორისო ორგანიზაციების საკუთრება.

საქართველოს სს რესპუბლიკაში ნებადართულია წარმოების საშუალებებზე საკუთრების სხვადასხვა ფორმები.

ქონებრივი ურთიერთობანი რეგულირდება საქართველოს სსრ კანონმდებლობით.

მუხლი 14. საქართველოს სს რესპუბლიკის მოქალაქეთა ინდივიდუალური (პირადი და კერძო) საკუთრება

მოქალაქეთა ინდივიდუალური საკუთრება გვევლინება ცალკეული პირებისა და მათი ოჯახების ქონების, წარმოების საშუალებებისა და მათთან გათანაბრებული ფასეულობების, არასაწარმოო დანიშნულების საგნებისა და ფასეულობების, ფულისა და ფასიანი ქაღალდების, აგრეთვე ინტელექტუალური შრომის პროდუქტების სახით. მოქალაქეთა ინდივიდუალური საკუთრება შეიძლება გასხვისდეს და გადაეცეს მემკვიდრეობით.

მოქალაქეთა ინდივიდუალური საკუთრების სახეობებია: პირადი საკუთრება და კერძო საკუთრება. პირადი საკუთრება ემყარება ცალკეული პირებისა და მათი ოჯახის წევრების შრომას და განკუთვნილია მათ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

კერძო საკუთრება, რომელიც მოქალაქეთა მიერ განხორციელებული საქონლური წარმოების საფუძველია, შეიძლება ემყარებოდეს როგორც თვით მესაკუთრეთა, ისე დაქირავებულ პირთა შრომას.

მუხლი 15. კოლექტიური (კოოპერაციული, კორპორაციული, სააქციო, აგრეთვე საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაციების და მოქალაქეთა სხვა გაერთიანებები) საკუთრება.

კოლექტიური, კოოპერაციული, კორპორაციული, სააქციო, აგრეთვე საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაციები და მოქალაქეთა სხვა გაერთიანებები, საზოგადოებრივი მოძრაობანი ფლობენ, სარგებლობენ და განკარგავენ ქონებას საქართველოს სსრ კანონმდებლობისა და რეგისტრირებულ წესდებათა შესაბამისად. მათ საკუთრებას შეადგენს წარმოების საშუალებანი, ინფრასტრუქტურის ობიექტები, ფინანსური რესურსები, ფასიანი ქაღალდები და სხვა ქონება, რომლებიც შექმნილი ან შეძენილია კოოპერაციული საწარმოების, კოოპერაციების, სააქციო საზოგადოებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების, რელიგიური ორგანიზაციების, ფიზიკურ პირთა ჯგუფების სახსრებით, ანის ქონება, რომელიც კანონით დადგენილი წესით გადაცემულია აღნიშნული ორგანიზაციების საკუთრებაში.

მუხლი 16. საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო (საქართველოს სსრ საერთო-სახალხო, ავტონომიური რესპუბლიკების, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების) საკუთრება

საქართველოს სს რესპუბლიკის უცილობელი და განუყოფელი საკუთრებაა მიწა, მისი წიაღი, შიდა და ტერიტორიული წყლები, კონტინენტური შელფი, ტყეები, ატმოსფერო რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში.

სახელმწიფოს განუყოფელ საკუთრებაში არსებული მიწის გადაცემის, სარგებლობისა და ჩამორთმევის წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ კანონმდებლობა. საქართველოს სს რესპუბლიკის მოქალაქეებს მიწა ეძლევათ მუდმივ სარგებლობაში მემკვიდრეობის უფლებით.

საქართველოს სს რესპუბლიკას საერთაშორისო სამართლით აღიარებულ ფარგლებში აქვს რესპუბლიკის ტერიტორიის მიმდებარე შავი ზღვის ეკონომიკური ზონის რესურსების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლება.

საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო საკუთრებას განეკუთვნება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგების საწარმოები, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ქსელი (სისტემები), სახელმწიფო სანიმონო ფონდი, სახელმწიფო დაწესებულებანი და ინფრასტრუქტურის, მათ შორის საკურორტო-ტურისტული დანიშნულების ობიექტები, სახელმწიფო სახსრებით შექმნილი სხვა ძირითადი ფონდები. სახელმწიფო ბანკები, ფინანსური რესურსები, სხვადასხვა ფასიანი ქაღალდები, აგრეთვე რესურსები, რომლებიც ინვესტირებულია სხვა რესპუბლიკებისა და ქვეყნების საწარმოებში, ობიექტებსა და ორგანიზაციებში, და სხვა ქონება, რომელიც აუცილებელია საქართველოს სს რესპუბლიკის, როგორც სუვერენული სახელმწიფოს წინაშე მდგომი ამოცანების განხორციელებისათვის.

საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო საკუთრება არის აგრეთვე სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ტერიტორიებზე განლაგებული საწარმოები ან მათი ნაწილი, რომლებიც შექმნილია საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის და სახელმწიფო საწარმოების სახსრების ხარჯზე.

რესპუბლიკის სახელმწიფო საკუთრების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხებს წყვეტენ საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოები.

მუხლი 17. საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საკუთრება

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების ნაწილი საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება გადაეცეს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების განკარგულებაში. ეს ქონება მრავლდება ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრების ანგარიშზე. მას ფლობენ, სარგებლობენ და განკარგავენ სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

ავტონომიური ფორმირებები საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში ფლობენ, სარგებლობენ და განკარგავენ მიწის, წყლის, ტყის რესურსებს, სამეურნეო და კულტურის ობიექტებს, ისტორიულ ძეგლებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის კულტურული და ეროვნული ტრადიციების კვლავწარმოებას.

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საკუთრებაში არსებული ქონების უფლებრივ რეჟიმს საქართველოს სსრ კანონების შესაბამისად ადგენენ რესპუბლიკები და ეს ორგანოები.

ავტონომიური რესპუბლიკების, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საკუთრებაში ობიექტების გადაცემა, მათი ჩამორთმევა ან გადანაწილება მათთან შეუთანხმებლად აკრძალულია.

მუხლი 18. საკუთრების შერეული ფორმები

საქართველოს სსრ კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში დაშვებულია საკუთრების შერეული ფორმები. ისინი შეიძლება არსებობდნენ სახელმწიფო-კოოპერაციული, საოლმეურნეო-კოოპერაციული, სახელმწიფო-კოოპერაციულ-პირადი, კოოპერაციულ-პირადი, მოკავშირე რესპუბლიკებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების, მათი იურიდიული პირების, ცალკეულ მოქალაქეთა ერთობლივი საკუთრების და სხვა სახით.

კარი III.

საქართველოს სს რესპუბლიკის მოსახლეობის სოციალური გარანტიები

მუხლი 22. სოციალური გარანტიების უზრუნველყოფის სისტემა

საქართველოს სს რესპუბლიკაში მოქმედებს სოციალური გარანტიების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს რესპუბლიკის მოქალაქეთა შრომისა და ცხოვრების ეკონომიკურად, ეკოლოგიურად და სოციალურად ჯანსაღი პირობების შექმნას; ბინაზე, პირველი მოხმარების საგნებზე, სამედიცინო, საყოფაცხოვრებო, კომუნალურ მომსახურებასა და განათლებაზე საქართველოს სსრ მოქალაქეთა საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

სოციალური გარანტიების განხორციელებას უზრუნველყოფენ სახელმწიფო ორგანოები და დაწესებულებები, სახელმწიფო, კოოპერაციული და შერეული ტიპის საწარმოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და კერძო მესაკუთრენი.

მუხლი 23. მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფა

საქართველოს სს რესპუბლიკა უზრუნველყოფს მოსახლეობის მატერიალურ, სოციალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს სს რესპუბლიკის ეროვნული შემოსავლის მოხმარების ფონდი რესპუბლიკის მცხოვრებთა შორის ნაწილდება უმთავრესად ხელფასის, პენსიების, სტიპენდიების, დახმარებებისა და შეღავათების ფორმით, ცხოვრების ღირებულების ინდექსის ცვლილების გათვალისწინებით.

მუხლი 24. მუშაობის რეჟიმი და შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურების ოდენობა საქართველოს სს რესპუბლიკის სამეურნეოანგარიშიან საწარმოში (ორგანიზაციაში) დამოკიდებულებია კოლექტიურ შედეგში თითოეული მუშაკის მიერ შეტანილ შრომით წვლილზე და კოლექტივის მიერ თავისი შემოსავლიდან შრომის ანაზღაურებისათვის გამოყოფილ თანხაზე. საარსებო მინიმუმიდან გამომდინარე საქართველოს სსრკ კანონმდებლობით წესდება შრომის ანაზღაურების მხოლოდ მინიმალური განაკვეთები და სარგოები. ხელფასის მაქსიმალური დონე არ იზღუდება.

სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოები და ორგანიზაციები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აწესებენ შრომის ნორმებსა და ანაზღაურების განაკვეთებს, განსაზღვრავენ სამუშაო დროისა და დასვენების რეჟიმს.

იმ სახელმწიფო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, რომლებიც სამეურნეო ანგარიშზე არ არიან, შრომის ანაზღაურების წესსა და მუშაობის რეჟიმს განსაზღვრავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

მუხლი 25. გარანტიები კულტურის სფეროში

საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ქმნიან ქართული კულტურის შემდგომი აყვავების, საზოგადოების სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გაძლიერების, ზოგადსაკაცობრიო იდეალების მთელი მოსახლეობისათვის სისხლხორცეულ სოციალურ ფასეულობად გადაქცევის, ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის რეალურად და სრულად განხორციელების მატერიალურ და ორგანიზაციულ პირობებს.

საქართველოს სს რესპუბლიკაში. მცხოვრებ მკვიდრ და სხვა ერებს ექმნებათ ყველა პირობა საკუთარი კულტურის განვითარებისა და მშობლიური ენის შესწავლისა და გამოყენებისათვის.

მუხლი 26. გარანტიები განათლების დარგში

საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები უზრუნველყოფენ რესპუბლიკის მოსახლეობის საერთო და პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობას მის ყველა საფეხურზე განათლების შესახებ საქართველოს სსრ კანონის შესაბამისად, ქმნიან საქართველოს ისტორიული და კულტურული ტრადიციების შესაბამისი განათლების ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება-განვითარების პირობებს.

მუხლი 27. გარანტიები სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის სფეროში

საქართველოს სს რესპუბლიკა ყველა მოქალაქისათვის უზრუნველყოფს სოციალური დაზღვევის სავალდებულობასა და სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობას.

სოციალური დაზღვევა ხორციელდება ხანდაზმულობის, უმუშევრობის, ინვალიდობის, ავადმყოფობის, საწარმოო ტრამვის, მარჩენალის დაკარგვის გამო.

საქართველოს სს რესპუბლიკა უზრუნველყოფს მოხუცებულთა, პენსიონერთა, ინვალიდთა, მარტოხელა დედებისა და მრავალშვილიანი ოჯახების სოციალურ და ეკონომიკურ დაცვას.

პენსიის ოდენობა ინვალიდობის, მოხუცებულობის ან მარჩენალის დაკარგვის გამო უნდა შეესაბამებოდეს ინვალიდის, მოხუცებულის ან მარჩენალის შრომით წვლილს და არ უნდა იყოს საარსებო მინიმუმზე ნაკლები.

მუხლი 28. მშრომელთა ინტერესების დაცვა

საქართველოს სს რესპუბლიკა იცავს ყველა სოციალური ფენისა და ჯგუფის, აგრეთვე მწარმოებელთა და მომხმარებელთა ინტერესების წონასწორობას, მხარეთა კანონიერ მოთხოვნებსა და უფლებებს. კერძო საწარმოთა დაქირავებული მუშაკები სარგებლობენ ყველა იმ სოციალური გარანტიით, რომლებიც აქვთ საზოგადოებრივ სექტორში დასაქმებულ მუშაკებს.

საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიძლება განაგებულ იქნეს საწარმოები, ნაგებობანი, ინფრასტრუქტურისა და არასაწარმოო დანიშნულების ობიექტები, ბანკები, ფინანსური რესურსები, რომლებიც ნაწილობრივ ან მთლიანად წარმოადგენენ საკავშირო ან სხვა რესპუბლიკების საკუთრებას, აგრეთვე უცხოეთის სახელმწიფოების, მათი იურიდიული და ფიზიკური პირების საკუთრებას.

ასეთი საკუთრების განლაგებისა და გამოყენების წესი განისაზღვრება მთავრობათაშორისი შეთანხმებებით.

მუხლი 21. საკუთრებითი ურთიერთობების რეგულირება

საქართველოს სს რესპუბლიკის ეკონომიკურ სისტემაში შემავალი საკუთრების ყველა ფორმას იცავს სახელმწიფო და საკუთრებითი ურთიერთობანი რეგულირდება საქართველოს სსრ კანონმდებლობით და ხელშეკრულებათა საფუძველზე.

საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიძლება განლაგებულ იქნეს საწარმოები, ნაგებობანი, ინფრასტრუქტურისა და არასაწარმოო დანიშნულების ობიექტები, ბანკები, ფინანსური რესურსები, რომლებიც ნაწილობრივ ან მთლიანად წარმოადგენენ საკავშირო ან სხვა რესპუბლიკების საკუთრებას, აგრეთვე უცხოეთის სახელმწიფოების, მათი იურიდიული და ფიზიკური პირების საკუთრებას.

ასეთი საკუთრების განლაგებისა და გამოყენების წესი განისაზღვრება მთავრობათაშორისი შეთანხმებებით.

მუხლი 29. დემოგრაფიული პროცესების მართვა

საქართველოს სს რესპუბლიკაში ხორციელდება ეროვნულ-დემოგრაფიული პოლიტიკა მკვიდრი ერების დემოგრაფიული პროცესების ოპტიმიზაციის, მოსახლეობის გაფართოებული კვლავწარმოების, გარე და შიგა რესპუბლიკური მიგრაციისა და განსახლების რაციონალიზაციის, ცალკეული რეგიონების მოსახლეობაში მკვიდრი ერების ხვედრითი წილის ამაღლების უზრუნველსაყოფად.

დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელებას ხელმძღვანელობს მთავრობის დემოგრაფიული კომისია, რომელიც შეიმუშავებს წინადადებებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დემოგრაფიული ინვესტიციისათვის საჭირო სახსრების გამოყოფის შესახებ, წარმართავს დემოგრაფიული საზოგადოებების, რეგიონების და შრომითი კოლექტივების მუშაობას ყველაზე მომწიფებული დემოგრაფიული პრობლემების გადასაწყვეტად.

ეროვნული დემოგრაფიული პოლიტიკის პარალელურად მუშავდება და ხორციელდება ეროვნებათაშორისი დემოგრაფიული ღონისძიებანი ეთნიკურ უმცირესობათა დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

მუხლი. 30. ბუნებათსარგებლობის წესები და გარემოს დაცვის გარანტიები

საქართველოს სს რესპუბლიკის ახლანდელი და მომავალი თაობების ჯანსაღი გარემოს უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ადგენს გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის წესს.

კანონით განისაზღვრება საწარმოთა განვითარებისა და განლაგებისას მოთხოვნები და შეზღუდვები, მათ შორის იმ საწარმოთა საქმიანობის ან მშენებლობის შეჩერების ან დახურვის წესი, რომლებიც საფრთხეს უქმნიან გარემოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს ბუნებათსარგებლობის ლიმიტებსა და ნორმატივებს, ბუნებრივი რესურსების კომპლექსური და ეფექტიანი გამოყენების მაჩვენებლებს, გასცემს ნებართვას ბუნებრივი რესურსების სარგებლობაზე და სრულყოფს ბუნებათსარგებლობის ეკონომიკურ მექანიზმს.

მუხლი 31. მომხმარებელთა ინტერესების დაცვა

მომხმარებელთა ინტერესების დაცვისა და მწარმოებელთა მონოპოლიზმის აღკვეთის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აწესებს სახელმწიფო შეზღუდვებსა და შეღავათების სისტემას, მათ შორის კონტროლს პროდუქციის უვნებლობისა და საჭირო ხარისხისადმი, აგრეთვე ზღვრულ ფასებს პირველი მოთხოვნილების საგნებზე, ახდენს ცხოვრების გაძვირების კომპენსაციას, ხელს უწყობს მომხმარებელთა საზოგადოებების შექმნას.

კარი IV.

საქართველოს სს რესპუბლიკის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება

მუხლი 32. საქართველოს სს რესპუბლიკის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება და მისი ძირითადი ფუნქციები

საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები ეროვნული ინტერესების შესაბამისად სამართლებრივი და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით:

— შეიმუშავებენ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიან და საშუალოვადიან პროგრამებს, რომლებშიც განსაზღვრება საერთო-რესპუბლიკური სტრატეგიული ეკონომიკური ამოცანები, უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო, დარგობრივი, დარგთაშორისი და ტერიტორიული პროპორციები, სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, სტრუქტურულ-ინვესტიციური, ტექნიკური და ეკოლოგიური პოლიტიკის განხორციელების ძირითადი მიმართულებანი;

— არეგულირებენ საქართველოს სს რესპუბლიკის მეურნეობის იურიდიულ და ფიზიკურ პირთა ურთიერთობას სახელმწიფოსთან, ასევე საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, ბანკებს, გაერთიანებებს, ფირმებს ურთიერთობას უპირატესად ეკონომიკური მეთოდების გამოყენებით (გადასახადები, კრედიტები, ანარიცხები მიზნობრივი ფონდებიდან და სხვა) მათ საქმიანობაში უშუალოდ ჩაურევლად;

— მართვის საკავშირო ორგანოებთან, სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან და საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობისას იცავენ საქართველოს სს რესპუბლიკის ინტერესებს;

— რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების კომპლექსურობის, მოსახლეობის ჯანმრთელობის, საარსებო მინიმუმისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფის მიზნით არეგულირებენ ცალკეული სახეობის საქონლის და მომსახურების ფასებსა და ტარიფებს, ატარებენ ანტიმონოპოლიურ ღონისძიებებს, აუცილებლობის შემთხვევაში გამოყოფენ სათანადო სუბსიდიებს ცალკეული დარგებისა და რეგიონების დაჩქარებული განვითარებისათვის;

— არეგულირებენ დემოგრაფიულ და მოსახლეობის მიგრაციის პროცესებს, ქმნიან შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და შრომის დაცვის საათანადო პირობებს;

— უზრუნველყოფენ რესპუბლიკის ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებას, გარემოს გაჯანსაღებას და ეკოლოგიურ წონასწორობას;

— ქმნიან მოსახლეობის, საწარმოებისა და ორგანიზაციების სტიქიური უბედურებისაგან, საწარმოო ავარიებისა და სხვა ექსტრემალური შემთხვევებისაგან დაცვის და მათი შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებათა სათანადო სისტემას.

მუხლი 33. სანაკლო საქმიანობა და ფულის მიმოქცევა, ფასწარმოქმნა

საქართველოს სს რესპუბლიკა დამოუკიდებლად ახორციელებს ფულად-საკრედიტო და ფასწარმოქმნის ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას.

საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად ეკონომიკური დამოუკიდებლობის პრინციპების განხორციელების მიზნით რესპუბლიკაში იქმნება საბანკო-საკრედიტო სისტემა ქართული ფულის შემოღებით. აღნიშნული სისტემა მოიცავს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბანკს, კომერციულ ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბანკი წარმოადგენს რესპუბლიკის ცენტრალურ ბანკს, რომელსაც აქვს ფულის ემისიის უფლება. იგი არეგულირებს რესპუბლიკის მთელ ფულად-საკრედიტო მასას და ახდენს კომერციული ბანკების საქმიანობის რეგულირებასა და კონტროლს, ადგენს ქართული ფულის თანაფარდობას საბჭოთა მანეთთან და სხვა ქვეყნის ვალუტასთან, მისი ურთიერთგაცვლის წესს.

საქართველოს სს რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ქართული ფულის თავისუფალი კონვერტირების მიღწევა.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბანკი წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომლის სტატუსი განსაზღვრულია საქართველოს სსრ კანონმდებლობით.

საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოქმნილი და ბანკის დაწესებულებებში დაგროვილი ფულადი სახსრები ქმნის რესპუბლიკის საკრედიტო რესურსებს. ბანკები თავიანთი ფულადი რესურსებით მონაწილეობენ რესპუბლიკის ბიუჯეტის ფორმირებაში კომერციულ საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში ისესხებენ ან სესხად მისცემენ რესურსებს სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების ბანკებს სათანადო საფასურის გადახდით.

საქართველოს სს რესპუბლიკა უფლებამოსილია გამოუშვას საკუთარი სახელმწიფო სესხის ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები და დაადგინოს მათი მიმოქცევის წესები.

საქართველოს სს რესპუბლიკა დამოუკიდებლად ახორციელებს ფასწარმოქმნის ერთიან პოლიტიკას, რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში აწესებს და არეგულირებს საქონლის ფასებსა და მომსახურების ტარიფებს, ახორციელებს მათზე კონტროლს, ატარებს ანტიმონოპოლიურ და საბაზრო ურთიერთობების ნორმალიზაციის სხვა ღონისძიებებს.

შიდარესპუბლიკური, რესპუბლიკათაშორისი და საერთაშორისო საქონლგაცვლა წარმოებს უპირატესად სახელშეკრულებო (საბაზრო) ფასებით.

საქართველოს სსრ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან ერთად, როგორც თანასწორუფლებიანი პარტნიორი, მონაწილეობს ცალკეული სტრატეგიული მნიშვნელობის საქონელზე ფასწარმოქმნის საერთო-საკავშირო პრინციპებისა და აუცილებლობის შემთხვევაში ფასების ზღვრული პარამეტრების შემუშავებაში ეკონომიკური ურთიერთსარგებლიანობისა და სოციალური სამართლიანობის დაცვის გათვალისწინებით.

მუხლი 34. საქართველოს სსრ, ავტონომიური ფორმირებებისა და რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების საფინანსო და სანიუჯეტო ურთიერთობების საფუძვლები

საქართველოს სსრ სანიუჯეტო სისტემას შეადგენს საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტი, დამოუკიდებელი რესპუბლიკური (ავტონომიური ფორმირებების), და ადგილობრივი ბიუჯეტები. ამ ბიუჯეტების შემოსავლების ფორმირება ხდება იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის დაწესებული გადასახადების, მოსაკრებლებისა და სავალდებულო გადასახდელებისაგან.

საქართველოს სსრ რესპუბლიკური, ავტონომიური ფორმირებებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

სსრ კავშირში მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ

ეს კანონი სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად უზრუნველყოფს სსრ კავშირის ყველა შრომისუნარო მოქალაქისათვის მატერიალური უზრუნველყოფის უფლებას მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების ხარჯზე შრომის და სოციალურ პენსიათა მიცემის გზით.

კანონი მიზნად ისახავს, რომ უფრო სრულად იყოს გათვალისწინებული შრომა, როგორც ხალხისა და თითოეული საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობის ზრდის წყარო, გამოირიცხოს გათანაბრებითი მიდგომა საპენსიო უზრუნველყოფაში. იგი ადგენს მუშათა, მოსამსახურეთა, კოლმეურნეობების წევრთა და სხვა კატეგორიათა მშრომელების საპენსიო უზრუნველყოფის ერთიან პირობებსა და ნორმებს.

კანონი უზრუნველყოფს პენსიონერთა სოციალურ დაცულობას, მათ შორის პენსიათა ოდენობის რეგულარული გადასინჯვის გზით ცხოვრების ღირებულების შეცვლისა და ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდის კვალობაზე.

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. სსრ კავშირში მოქალაქეთა სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის უფლება

სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ მოხუცებულობაში, ინვალიდობის, მარჩენლის დაკარგვის და ამ კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის უფლება.

სსრ კავშირში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეებში არმქონე პირებს აქვთ პენსიის უფლება სსრ კავშირის მოქალაქეთა თანაბრად, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული სსრ კავშირის კანონმდებლობით.

მუხლი 2. საპენსიო უზრუნველყოფის სახეობანი

ეს კანონით ინიშნება:

ა) შრომითი პენსიები:

ასაკობრივი (მოხუცებულობის გამო);*

ინვალიდობის გამო;

მარჩენლის დაკარგვის შემთხვევაში;

ნამსახურობისათვის;

ბ) სოციალური პენსიები.

მუხლი 3. პირნი, რომელთაც აქვთ შრომითი პენსიის უფლება

შრომითი პენსიის უფლება აქვთ მოქალაქეებს, რომლებიც ეწევიან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, ამ კანონით გათვალისწინებულ სხვა პირობების დაცვის დროს:

ა) პირებს, რომლებიც მუშაობენ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, კოოპერატივებში შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, საკუთრების ან მეურნეობრიობის გამოყენებული ფორმების მიუხედავად, ან კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების** მეურნეობის საფუძველზე იმ პირობით, თუ საწარმოები და ორგანიზაციები გადაიხდიან სადაზღვევო შესატანებს სსრ კავშირის საპენსიო ფონდში;

ბ) პირებს, რომლებიც ეწევიან ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას, მათ შორის ინდივიდუალური (ჯგუფური) იჯარის პირობებით ან პირად გლეხურ მეურნეობაში, — სსრ კავშირის საპენსიო ფონდში სადაზღვევო შესატანების გადახდის პირობით;

გ) შემოქმედებითი კავშირების წევრებს, აგრეთვე სხვა შემოქმედებითს მუშაკებს, რომლებიც არ არიან შემოქმედებითი კავშირების წევრები, — სსრ კავშირის საპენსიო ფონდში სადაზღვევო შესატანების გადახდის პირობით;

დ) სხვა პირებს, რომლებიც ეწევიან სახელმწიფო სოციალურ დაზღვევას;

ე) გასამხედროებულ ფორმირებათა მუშაკებს, რომლებიც არ ეწევიან სახელმწიფო სოციალურ დაზღვევას, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს სპეციალური კავშირის სამსახურის უფროსთა და რიგითი შემადგენლობის პირებს;

ვ) უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლო დაწესებულებების, სასწავლებლების, სკოლებისა და კადრების მოსამზადებელი კურსების მოსწავლეებს, ასპირანტებსა და კლინიკათა ორდინატორებს, დოქტორანტებს;

ზ) პირებს, რომლებიც დაინვალიდდნენ სახელმწიფო ან საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით ან ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად, სახელმწიფო, კოოპერაციული საკუთრების, სსრ კავშირის მოქალაქეთა საკუთრებისა და მართლწესრიგის დასაცავად სსრ კავშირის მოქალაქის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;

თ) პირებს, რომლებიც უვლიან I ჯგუფის ინვალიდებს ან 16 წლამდე ასაკის ინვალიდ ბავშვს, აგრეთვე 80 წელს მიღწეულ ღრმად მოხუცებულებს;

ი) იმ მუხლში აღნიშნულ მოქალაქეთა და ამ მოქალაქეთაგან საპენსიონერთა ოჯახების წევრებს მარჩენლის დაკარგვის შემთხვევაში.

მუხლი 4. სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახების საპენსიო უზრუნველყოფა

სამხედრო მოსამსახურეების, აგრეთვე შინაგან საქმეთა ორგანოთა უფროსთა და რიგითი შემადგენლობის პირების და მათი ოჯახების წევრების საპენსიო უზრუნველყოფის პირობებს, ნორმებსა და წესს ადგენს სსრ კავშირის კანონი „სამხედრო მოსამსახურეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“. მათ ეძლევათ აგრეთვე პენსიების მიღების უფლება ამ კანონით გათვალისწინებულ საფუძვლებზე. ამასთან სამხედრო მოსამსახურეთა, აგრეთვე შინაგან საქმეთა ორგანოების უფროსთა და რიგითი შემადგენლობის პირთა ყველა სახეობის ფულადი კმაყოფა გათვალისწინებულია მუშაობის მსახურეთა ხელფასის თანაბრად.

მუხლი 5. პირნი, რომლებსაც აქვთ სოციალური პენსიის უფლება

სოციალური პენსიის უფლება აქვს ყველა შრომისუუნარო მოქალაქეს სოციალური კუთვნილების მიუხედავად ამ კანონით განსაზღვრული პირობებით.

მუხლი 6. პენსიის არჩევის უფლება

პირებს, რომელთაც აქვთ ერთდროულად სხვადასხვა სახელმწიფო პენსიის უფლება, ენიშნებათ ერთი პენსია მათი არჩევის მიხედვით.

მუხლი 7. მიმართვა პენსიის დანიშვნისათვის

მოქალაქეებს შეუძლიათ პენსიის დანიშვნისათვის მიმართონ ნებისმიერ დროს პენსიის უფლების წარმოქმნისთანავე, რაიმე ვადით შეზღუდვის გარეშე.

ამასთან პენსიები ასაკისა და ინვალიდობის გამო ენიშნებათ იმის მიუხედავად, შეწყვეტეს თუ მათ მუშაობა პენსიისათვის მიმართვის დროისათვის თუ განაგრძობენ მუშაობას. პენსიები ნამსახურობისათვის ინიშნება სამუშაოს დატოვებისას, რომელიც ამ პენსიის უფლებას იძლევა.

მუხლი 8. ხანხრები პენსიების გაცემისათვის. პენსიის გადავადებისა და გადახადებისაგან

პენსიების გაცემა ხორციელდება სსრ კავშირის საპენსიო ფონდიდან.

სსრ კავშირის საპენსიო ფონდი დამოუკიდებელი საფინანსო-საბანკო სისტემაა, რომელიც არ შედის სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემადგენლობაში, ყალიბდება იმ სახსრების ხარჯზე, რომელსაც საწარმოები და ორგანიზაციები გადაიტანენ სოციალური დაზღვევის მიზნებისათვის სამუშაოთა საშიშროების, მანეობის, სიმძიმის და შრომის სხვა პირობების მდგომარეობით დიფერენცირებული ტარიფების მიხედვით, იძიდივიდუალურ შრომითს საქმიანობაში ჩაბმული მოქალაქეების სადაზღვევო შესატანების, მოქალაქეთა სავალდებულო სადაზღვევო შესატანების, აგრეთვე სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე. სსრ კავშირის საპენსიო ფონდის დებულებას ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად.

პენსიები არ იბეგრება.

მუხლი 9. დამატებითი პენსიების ნებაყოფლობითი დაზღვევა

სსრ კავშირის საპენსიო ფონდიდან სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფასთან ერთად მშრომელებს უფლება აქვთ დადონ დამატებითი პენსიის ნებაყოფლობითი დაზღვევის ხელშეკრულებები. სსრ კავშირის სახლაზღვევის სისტემაში დამატებითი პენსიის გადახდის წყაროა სადაზღვევო ფონდი, რომელიც შედგება მშრომელთა პირადი შენატანების 50 პროცენტისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების 50 პროცენტისაგან.

საწარმოებსა და ორგანიზაციებს ადმინისტრაციისა და პროფკავშირული კომიტეტის გადაწყვეტილებით, თუ ეს გათვალისწინებულია კოლექტიური ხელშეკრულებით (შეთანხმებით), აგრეთვე კოლმეურნეობებსა და კოოპერატივებს საერთო კრების გადაწყვეტილებით შეუძლიათ შრომის ანაზღაურებისათვის განკუთვნილი საკუთარი სახსრების ხარჯზე მშლილნად ან ნაწილობრივ აუნაზღაურონ მუშაკებს დამატებითი პენსიის ნებაყოფლობითი დაზღვევის ხელშეკრულებით მათ მიერ გადახდილი შესატანები.

მუხლი 10. საპენსიო უზრუნველყოფის განმახორციელებელი ორგანოები

საპენსიო უზრუნველყოფას ამ კანონით ახორციელებენ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები. სსრ კავშირის საპენსიო ფონდის მართვა, ამ კანონის ერთგვაროვანი გამოყენება და მავნეობისა და სიმძიმის მიხედვით შრომის პირობების სახელმწიფო ექსპერტიზა ხორციელდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

მუხლი 11. პროფესიული კავშირების კონტროლი მშრომელთა საპენსიო უზრუნველყოფისადმი

პროფესიული კავშირები ახორციელებენ მშრომელთა ინტერესების დაცვის მიზნით საზოგადოებრივ კონტროლს ამ კანონის სწორი გამოყენებისადმი, პენსიონერთა საპენსიო უზრუნველყოფისა და სოციალური მომსახურებისათვის გამოყოფილი სახსრების ხარჯვისადმი.

მუხლი 12. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განმგებლობას მიკუთვნებული საკითხები

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განმგებლობას, ამ კანონით გათვალისწინებულთა გარდა, განეკუთვნება აგრეთვე პენსიების დანიშვნისა და გადახდის წესთან, ცალკეული კატეგორიების მოქალაქეთა სტაჟის გამოანგარიშების თავისებურებათა განსაზღვრასთან ამ კანონით გათვალისწინებული გარანტიების დაცვასთან დაკავშირებული საკითხები.

თავი II. შრომითი პენსიები

ასაკობრივი პენსიები

მუხლი 13. პენსიების დანიშვნის პირობები

ასაკობრივი პენსიის უფლება აქვთ:

მამაკაცებს, რომლებიც მიაღწევენ 60 წელს და აქვთ სულ ცოტა 25 წლის მუშაობის სტაჟი;

ქალებს, რომლებიც მიაღწევენ 55 წელს და აქვთ სულ ცოტა 20 წლის მუშაობის სტაჟი.

მუხლი 14. პენსიები შეღავათიანი პირობებით

შეღავათიანი პირობებით ასაკობრივი პენსიის უფლება აქვთ უკანასკნელი სამუშაო ადგილის მიუხედავად:

ა) მიწისქვეშა სამუშაოებზე, განსაკუთრებით მავნე და განსაკუთრებით მძიმე შრომითი პირობების მქონე სამუშაოებზე დასაქმებულ მუშაკებს — წარმოებების, სამუშაოების, პროფესიების, თანამდებობებისა და მაჩვენებლების №1 სიის მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, და სამუშაო ადგილების ატესტაციის შედეგების მიხედვით;

მამაკაცებს, რომლებიც მიაღწევენ 50 წელს და აქვთ სულ ცოტა 20 წლის მუშაობის სტაჟი, რომელთაგან სულ ცოტა 10 წელი მოდის აღნიშნულ სამუშაოებზე;

ქალებს, რომლებიც მიაღწევენ 45 წელს და აქვთ სულ ცოტა 15 წლის მუშაობის სტაჟი, რომელთაგან სულ ცოტა 7 წელი და 6 თვე მოდის აღნიშნულ სამუშაოებზე.

მუშაკებს, რომლებსაც განსაკუთრებით მავნე და განსაკუთრებით მძიმე შრომით პირობებში მუშაობის სტაჟის სულ ცოტა ნახევარი აქვთ, შეღავათიანი პირობებით პენსიები ენიშნებათ ამ კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული ასაკის დაკლებით. 1 წელი აკლდებათ ქალებს და მამაკაცებს ასეთი მუშაობის ყოველი სრული წლისათვის;

ბ) მავნე და მძიმე შრომის პირობების მქონე სამუშაოებზე დასაქმებულ მუშაკებს — საწარმოების, სამუშაოების, პროფესიების, თანამდებობებისა და მაჩვენებლების №2 სიის მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, და სამუშაო ადგილების ატესტაციის შედეგების მიხედვით:

მამაკაცებს, რომლებიც მიაღწევენ 55 წელს და აქვთ სულ ცოტა 25 წლის მუშაობის სტაჟი, რომელთაგან სულ ცოტა 12 წელი და 6 თვე მოდის აღნიშნულ სამუშაოებზე;

ქალებს, რომლებიც მიაღწევენ 50 წელს და აქვთ სულ ცოტა 20 წლის მუშაობის სტაჟი, რომელთაგან სულ ცოტა 10 წელი მოდის აღნიშნულ სამუშაოებზე;

ბ) ინვალიდობის ჯგუფებისა და ბავშვობიდან ინვალიდობის მქონე პირებს, — ასაკობრივი პენსიები ენიშნებათ ამ კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული ასაკის დაკლებით. 1 წელი აკლდებათ I ჯგუფის ინვალიდებს, 1 წელი — II ჯგუფის ინვალიდებს, 1 წელი — III ჯგუფის ინვალიდებს, 1 წელი — ბავშვობიდან ინვალიდობის მქონე პირებს.

მუხლი 15. მიწისქვეშა და ღია სამთო სამუშაოებზე დასაქმებულ მუშაკთა საპენსიო უზრუნველყოფის თავისებურებანი

ქვანახშირის, ფიქლის, მადნისა და სხვა სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად მიწისქვეშა და ღია სამთო სამუშაოებზე, შტიტებისა და მაღაროების მშენებლობაზე მთელ სამუშაო დღეს უშუალოდ დასაქმებულ მუშაკებს (მათ შორის სამთო-სამაშველო ნაწილების პირად შემადგენლობას) — სამუშაოებისა და პროფესიების სიის მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, პენსიის უფლება აქვთ ასაკის მიუხედავად, თუ ისინი დასაქმებული იყვნენ ამ სამუშაოებზე სულ ცოტა 25 წელს, ხოლო ამ სამუშაოებზე წამყვანი პროფესიების მუშაკებს: საწმენდი სანგრევის სამთო მუშებს, გვირაბგამყვანებს, სანგრევი ჩიქუჩით მომუშავე მნგრეველებს, სამთო ამოსაღები მანქანების მემანქანეებს — იმ პირობით, თუ ისინი ამ სამუშაოებზე დასაქმებული იყვნენ სულ ცოტა 20 წელს.

თუ მიწისქვეშა სამუშაოებზე მამაკაცებს აქვთ სულ ცოტა 10 წლის სტაჟი და ქალებს სულ ცოტა 7 წლისა და 6 თვის სტაჟი, ამ სამუშაოების ყოველი სრული წლისათვის ამ კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული საპენსიო ასაკი მცირდება 1 წლით.

მუხლი 16. პენსიები უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებსა და უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებთან გათანაბრებულ ადგილებში მომუშავე პირებს

პირებს, რომლებმაც სულ ცოტა 15 კალენდარული წელი იმუშავეს უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში ან სულ ცოტა 20 კალენდარული წელი უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებთან გათანაბრებულ ადგილებში, უფლება აქვთ მიიღონ პენსია: მამაკაცებმა, როცა მიაღწევენ 55 წელს და აქვთ სულ ცოტა 25 წლის მუშაობის სტაჟი, ქალებმა — როცა მიაღწევენ 50 წელს და აქვთ სულ ცოტა 20 წლის მუშაობის სტაჟი.

როგორც უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში, ისე უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებთან გათანაბრებულ ადგილებში მომუშავე პირებს უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებთან გათანაბრებულ ადგილებში მუშაობა ეთვლებათ უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში მუშაობის ცხრა თვედ.

ამ მუხლის შესაბამისად პენსიის უფლების განსაზღვრისას გამოიყენება პენსიის დანიშვნის გამო მიმართვის დღისათვის მოქმედი უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებისა და უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებთან გათანაბრებული ადგილების სია, რომელსაც ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

მუხლი 17. ასაკობრივი პენსიები ომის ინვალიდებს

სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც დაინვალიდდნენ სსრ კავშირის დაცვის ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულების დროს დაკრის, კონტუზიის ან სახიჩრობის შედეგად, ან ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებული დაავადების შედეგად, აქვთ პენსიის უფლება:

მამაკაცებს, რომლებიც მიაღწევენ 55 წელს და აქვთ სულ ცოტა 25 წლის მუშაობის სტაჟი;

ქალებს, რომლებიც მიაღწევენ 50 წელს და აქვთ სულ ცოტა 15 წლის მუშაობის სტაჟი, ამ სამუშაოების ყოველი სრული წლისათვის ამ კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული საპენსიო ასაკი მცირდება 1 წლით.

მუხლი 18. პენსიები მრავალშვილიან დედებსა და ბავშვობიდან ინვალიდების დედებს

ქალებს, რომლებმაც შობეს ხუთი ან მეტი შვილი და აღზარდეს ისინი რვა წლის ასაკამდე, აგრეთვე ბავშვობიდან ინვალიდების დედებს, რომლებმაც ისინი აღზარდეს ამ ასაკამდე, უფლება აქვთ ასაკობრივი პენსია მიიღონ, როცა მიაღწევენ 50 წელს და აქვთ სულ ცოტა 20 წლის მუშაობის სტაჟი ბავშვების მოვლის დროს სტაჟში ჩათვლით (67-ე მუხლის „ზ“ და „თ“ პუნქტები) ან აქვთ სულ ცოტა 15 წლის მუშაობის სტაჟი ბავშვების მოვლის აღნიშნული დროის სტაჟში ჩაუთვლელად. ამასთან ბავშვობიდან ინვალიდებს განეკუთვნებიან აგრეთვე 16 წლამდე ასაკის ინვალიდი ბავშვები, რომლებსაც აქვთ სოციალური პენსიის მიღების უფლება (მუხლი 119).

მუხლი 19. პენსიები ლილიპუტებსა და ჯუჯებს

ჰიპოფიზარული ნანიზმით ავადმყოფ პირებს (ლილიპუტებს) და დისპროპორციულ ჯუჯებს ასაკობრივი პენსიის უფლება აქვთ: მამაკაცებს, რომლებიც მიაღწევენ 45 წელს და აქვთ სულ ცოტა 20 წლის მუშაობის სტაჟი, ქალებს, რომლებიც მიაღწევენ 40 წელს და აქვთ სულ ცოტა 15 წლის მუშაობის სტაჟი.

მუხლი 20. პენსიების ოდენობა

ასაკობრივი პენსიები ინიშნება ხელფასის 55 პროცენტის ოდენობით (მუხლები 76 და 96). მამაკაცებს 25 წლის და ქალებს 20 წლის ზევით მუშაობის თითოეული სრული წლისათვის პენსია ემატებათ ხელფასის 1 პროცენტით.

ამ კანონის მე-14 მუხლის „ა“ პუნქტითა და მე-15 მუხლით გათვალისწინებულ სამუშაოებზე დასაქმებულ მუშაკებს, იმ სამუშაოს თითოეულის წლისათვის, რომელიც იძლევა მამაკაცებისათვის 10 წლის და ქალებისათვის 7 წლისა და 6 თვის ზევით შეღავათიანი პირობებით პენსიის უფლებას, პენსია ემატებათ ხელფასის 1 პროცენტით.

ასაკობრივი პენსიის მინიმალური ოდენობა დგინდება სსრ კავშირის კანონმდებლობით დაწესებული მინიმალური ხელფასის* 100 პროცენტის ოდენობით.

ასაკობრივი პენსიის ოდენობა, რომელიც ამ მუხლის შესაბამისად არის გამოანგარიშებული, არ უნდა აღემატებოდეს ხელფასის 75 პროცენტს.

მუხლი 21. პენსიები მუშაობის არასრული სტაჟის დროს

იმ პირებს, რომლებსაც არა აქვთ სრული პენსიის დანიშვნისათვის საკმარისი მუშაობის სტაჟი (მუხლი 13), ასაკობრივი პენსიები ენიშნებათ არასრული სტაჟის დროს ოდენობით, რომელიც არსებული სტაჟის პროპორციულია (მუხლი 84), მაგრამ არანაკლებ სოციალური პენსიისა (120 მუხლის „ბ“ პუნქტი).

არასრული სტაჟის დროს პენსიების დანიშვნისას არ გამოიყენება ასაკისა და სტაჟის გამო შეღავათიანი პირობები ამ კანონით დადგენილი პენსიების დანიშვნისათვის.

მუხლი 22. პენსიის დანამატები

ასაკობრივ პენსიებს, მათ შორის მინიმალური ოდენობით გამოანგარიშებულს, უწესდება შემდეგი დანამატები:

ა) არამომუშავე პენსიონერებს, რომელთა კმაყოფაზე არიან ოჯახის შრომისუუნარო წევრები (მუხლები 40, 41, 43 და 44), — ოჯახის თითოეული შრომისუუნარო წევრისთვის სოციალური პენსიონერის ოდენობით, რომელიც გადაიხდება ამ მუხლის შესაბამისად;

ბ) I ჯგუფის ინვალიდებს (გარდა მხედველობის გამო I ჯგუფის ინვალიდებისა), აგრეთვე II ჯგუფის მარტოხელა ინვალიდებს, რომლებიც სხვის დახმარებას საჭიროებენ, — მათი მოვლისათვის სოციალური პენსიის ოდენობით (120-ე მუხლის „ბ“);

გ) II ჯგუფის ინვალიდებს (გარდა მხედველობის გამო I ჯგუფის ინვალიდებისა), აგრეთვე II ჯგუფის მარტოხელა ინვალიდებს, რომლებიც სხვის დახმარებას საჭიროებენ, — მათი მოვლისათვის სოციალური პენსიის ოდენობით (120-ე მუხლის „ა“ პუნქტი);

დ) ბავშვობიდან ინვალიდობის მქონე I ჯგუფის ინვალიდებს, — სოციალური პენსიის ოდენობით (120-ე მუხლის „ბ“);

ე) ინვალიდობის ჯგუფებისა და ბავშვობიდან ინვალიდობის მქონე პირებს, — ასაკობრივი პენსიის ოდენობით (120-ე მუხლის „ბ“ პუნქტი). ამასთან მარტოხელა პენსიონერებისადმი კუთვნილებას განსაზღვრავს პენსიების დამნიშვნელი კომისია. (მუხლი 98).

ამ მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული დანამატები შეიძლება ერთდროულად დაერიცხოს.

ასაკობრივი პენსიები ომის ინვალიდებს 100 პროცენტით ოდენობით (120 მუხლის „ბ“ პუნქტი). ამასთან მარტოხელა პენსიონერებისადმი კუთვნილებას განსაზღვრავს პენსიების დამნიშვნელი კომისია. (მუხლი 98).

ამ მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული დანამატები შეიძლება ერთდროულად დაერიცხოს.

ასაკობრივი პენსიები ომის ინვალიდებს ემატებათ ინვალიდობის პენსიის მინიმალური ოდენობით, რომელიც დაწესებულია „სამხედრო მოსამსახურეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ სსრ კავშირის კანონით ინვალიდობის შესაბამისი ჯგუფის მიხედვით ვადიანი სამსახურის ჯარისკაცთაგანი და მატროსთაგანი ომის ინვალიდებისათვის.

ასაკობრივი პენსიები ომის სხვა მონაწილე სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც გადიოდნენ სამხედრო სამსახურს მოქმედი არმიის შემადგენლობაში, პარტიზანულ რაზმებსა და შენაერთებში, სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც მონაწილეობდნენ საბრძოლო მოქმედებაში ინტერნაციონალური ვალის მოხდისას,* ემატებათ ასაკობრივი მინიმალური პენსიის 25 პროცენტით.

მუხლი 23. პერიოდი, რომელთაც პენსიები ინიშნება

ასაკობრივი პენსიები ინიშნება სამისდღეშიოდ შრომის უნარის მდგომარეობაზე დამოუკიდებლად.

მუხლი 24. მომუშავე პენსიონერებისათვის პენსიის გადახდის წესი

ასაკობრივი პენსიები სრული ოდენობით, მიღებული ხელფასის (შემოსავლის) გაუთვალისწინებლად ეძლევათ პენსიონერებს, რომლებიც მუშაობენ მუშებად და ოსტატებად, აგრეთვე ინალოგიური შრომით დასაქმებულ კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერატივების წევრებს, რომლებიც მუშაობენ სოფლად — სკოლის მასწავლებლად, პედაგოგიურ მუშაკებად სკოლამდელ, სკოლისგარეშე და სხვა საბავშვო დაწესებულებებში, მედიცინის მუშაკებად ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებებში მოწყალების დებად სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ მთვარის საზოგადოებაში; ყველა მომუშავე პენსიონერს — დიდი სამამულო ომის მონაწილეებს.

სხვა მომუშავე პენსიონერებს ასაკობრივი პენსია ეძლევათ სრული ოდენობით, მიღებული ხელფასის (შემოსავლის) გაუთვალისწინებლად, თუ ვადიანი შრომითი ხელშეკრულება.

* შემდგომში იწოდება — მინიმალური ხელფასი.

* შემდეგ იწოდებიან — ომის მონაწილეები

ინვალიდობის პენსიები

მუხლი 25. პენსიების დანიშვნის პირობები

ინვალიდობის პენსიები ინიშნება ინვალიდობის დადგომის, ესე იგი შრომის უნარის სრული ან ნაწილობრივ დაკარგვის შემთხვევაში, რომელიც გამოწვეულია:

ა) შრომითი სახიჩრობით ან პროფესიული დაავადებით;

ბ) საერთო დაავადებით (მათ შორის სახიჩრობით, რომელიც დაკავშირებული არ არის მუშაობასთან, ბავშვობიდან ინვალიდობით).

ინვალიდობის პენსიები ინიშნება იმის მიუხედავად, თუ როდის დაიწყო ინვალიდობა; მუშაობის პერიოდში, მუშაობის დაწყებამდე თუ მუშაობის შეწყვეტის შემდეგ.

მუხლი 26. ინვალიდობის ჯგუფები

შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხის მიხედვით ინვალიდები იყოფიან სამ ჯგუფად.

ინვალიდობის მიზეზებსა და ჯგუფებს, აგრეთვე ინვალიდობის დადგომის დროს ადგენენ საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები. ისინი მოქმედებენ მათ შესახებ დებულების საფუძველზე, რომელიც მტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ.

მუხლი 27. მუშაობის სტაჟი, რომელიც იძლევა პენსიის უფლებას

შრომითი სახიჩრობის ან პროფესიული დაავადების შედეგად ინვალიდობის პენსიები (მუხლი 28) ინიშნება მუშაობის სტაჟის მიუხედავად.

საერთო დაავადებით გამოწვეული ინვალიდობის პენსიები ინიშნება ინვალიდობის დადგომის დროისათვის მუშაობის შემდეგი სტაჟის არსებობის დროს.

	მუშაობის სტაჟი (წლები)
23 წლის მიღწევამდე	1
23 წლიდან 26 წლის მიღწევამდე	2
26 წლიდან 31 წლის მიღწევამდე	3
31 წლიდან 36 წლის მიღწევამდე	5
36 წლიდან 41 წლის მიღწევამდე	7
41 წლიდან 46 წლის მიღწევამდე	9
46 წლიდან 51 წლის მიღწევამდე	11
51 წლიდან 56 წლის მიღწევამდე	13
56 წლიდან 61 წლის მიღწევამდე	14
61 წლიდან და უხნესი	15

თუ არის შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფისათვის საჭირო მუშაობის სტაჟი და მუშაობა გრძელდებოდა შემდეგ ასაკობრივ ჯგუფში გადასვლისას, სტაჟის პირობა შესრულებულად ითვლება შემდგომი ასაკობრივი ჯგუფისათვის დაწესებული მოთხოვნების მიუხედავად.

იმ პირებს, რომლებიც დაინვალიდდნენ საერთო დაავადების შედეგად მუშაობის პერიოდში ან მისი მეწყვეტის შემდეგ 20 წლის ასაკის მიღწევამდე, პენსიები ენიშნებათ მუშაობის სტაჟისაგან დამოუკიდებლად.

იმ შემთხვევაში, როცა შრომითი სახიჩრობის ან პროფესიული დაავადების შედეგად ინვალიდობის პენსიიდან პირი გადადის საერთო დაავადების შედეგად ინვალიდობის პენსიაზე, საერო სტაჟი განისაზღვრება ინვალიდობის თავდაპირველი დადგენის დროისათვის მიღწეული ასაკის მიხედვით.

მუხლი 28. ინვალიდობა შრომითი სახიჩრობის ან პროფესიული დაავადების შედეგად

შრომითი სახიჩრობის შედეგად ინვალიდობა დადგრად ითვლება, თუ ინვალიდობის გამომწვევი უბედური შემთხვევა მოხდა (მართლსაწინააღმდეგო ქმედების შემთხვევების გარდა):

ა) შრომითი მოვალეობების შესრულებისას (მათ შორის მივლინებაში ყოფნის დროს), აგრეთვე საწარმოს ან ორგანიზაციის ინტერესებისათვის რაიმე მოქმედების მოხდენისას, თუნდაც სპეციალური დავალების გარეშე;

ბ) გზად სამუშაოზე ან სამუშაოდან;

გ) საწარმოს, ორგანიზაციის ტერიტორიაზე ან სხვა სამუშაო ადგილას სამუშაო დროის მანძილზე (მათ შორის დადგენილი შესვენებების განმავლობაში) იმ დროის მანძილზე, რომელიც საჭიროა წარმოების იარაღის, ტანსაცმლისა და ა. შ. მოსაწესრიგებლად მუშაობის დაწყების წინ ან დასრულების შემდეგ;

დ) საწარმოს, ორგანიზაციის ან სხვა სამუშაო ადგილის მახლობლად სამუშაო დროის მანძილზე (მათ შორის დადგენილი შესვენებების განმავლობაში), თუ იქ ყოფნა არ ეწინააღმდეგებოდა შრომის შინაგანაწესს;

ე) სახელმწიფო ან საზოგადოებრივი მოვალეობების შესრულებისას, აგრეთვე საბჭოთა ორგანოების, პარტიული, პროფესიული ან სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი წესით რეგისტრირებული სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების დავალებათა შესრულებას, ან ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად, სახელმწიფო, საზოგადოებრივი საკუთრების, სსრ კავშირის მოქალაქეთა საკუთრებისა და მართლწესრიგის დასაცავად სსრ კავშირის მოქალაქის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;

ზ) საერთო დაავადების შედეგად I და II ჯგუფების ინვალიდებს, რომლებსაც არა აქვთ სრული პენსიის დასანიშნად საკმარისი მუშაობის სტაჟი (მუხლი 27), ენიშნებათ ინვალიდობის პენსია არასრული სტაჟის დროს არსებული სტაჟის პროპორციული ოდენობით, მაგრამ არანაკლებ სოციალური პენსიისა, რომელიც დაწესებულია შესაბამისად ინვალიდობის I და II ჯგუფებისათვის (მუხლი 120).

მუხლი 29. მოსწავლეთა პენსიების ოდენობა

უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლო დაწესებულებების, სასწავლებლების, სკოლებისა და კადრების მოსამზადებელი კურსების მოსწავლეებს, ასპირანტებსა და კლინიკების ორდინატორებს, რომლებიც არ მუშაობდნენ სასწავლო დაწესებულებაში, კურსებზე, ასპირანტურასა თუ კლინიკურ ორდინატურაში შესვლამდე, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებს, რომლებიც დაინვალიდდნენ საწარმოო სწავლების, პრაქტიკის გავლასთან ან პრაქტიკულ მეცადინეობასთან დაკავშირებული შრომითი სახიჩრობის შედეგად ინვალიდობის დროს, სწავლების ხანგრძლივობის მიუხედავად.

მუხლი 30. პენსიები მოსწავლეებს

უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლო დაწესებულებების, სასწავლებლების, სკოლებისა და კადრების მოსამზადებელი კურსების მოსწავლეებს, ასპირანტებსა და კლინიკათა ორდინატორებს, რომლებიც არ მუშობდნენ სასწავლო დაწესებულებაში, კურსებზე, ასპირანტურასა ან კლინიკურ ორდინატურაში შესვლამდე, პენსიები ენიშნებათ:

ა) საწარმოო სწავლების, პრაქტიკის გავლასთან ან პრაქტიკულ მეცადინეობასთან დაკავშირებული შრომითი სახიჩრობის ან პროფესიული დაავადების შედეგად ინვალიდობის დროს, მიუხედავად სასწავლო დაწესებულებაში, კურსებზე, ასპირანტურაში ან კლინიკურ ორდინატურაში ყოფნის ხანგრძლივობისა. ამასთან საწარმოო სწავლების, პრაქტიკის გავლასთან ან პრაქტიკულ მეცადინეობასთან დაკავშირებული შრომითი სახიჩრობის შედეგად მიღებულ ინვალიდობას უთანაბრდება ინვალიდობა, რომელიც მოჰყვა სახელმწიფო, საზოგადოებრივი მოვალეობების ანდა ადმინისტრაციის, საბჭოთა ორგანოების, პარტიული, პროფესიული თუ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი წესით რეგისტრირებული სხვა საზოგადოებრ

სსრ კავშირში მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

რომ არაუხანგრძლივეს [illegible]ით მიერ 23 წლის ასაკის მიღწევისა.

ამ კანონის ყველა წესი, რომლებიც გარდაცვლილთა ოჯახებს ეხება, შესაბამისად ვრცელდება (რადგან სხვა რამ არ არის დათქმული) უკვალოდ დაკარგულთა ოჯახებზეც, თუ მარჩენლის უკვალოდ დაკარგვა დადასტურებულია დადგენილი წესით.

მუხლი 41. ოჯახის წევრები, რომლებიც კმაყოფაზე მყოფებად ითვლებიან

გარდაცვლილის ოჯახის წევრები მის კმაყოფაზე მყოფებად ითვლებიან, თუ მათ მთლიანად იგი არჩენდა, ან თუ ისინი იღებდნენ მისგან დახმარებას, რომელიც მათთვის არსებობის მუდმივი და ძირითადი სახსარი იყო.

გარდაცვლილის ოჯახის წევრებს, რომელთათვის მისი დახმარება არსებობის მუდმივი და ძირითადი წყარო იყო, მაგრამ, რომლებიც თვითონ იღებდნენ რაიმე პენსიას, უფლება აქვთ გადავიდნენ ახალ პენსიაზე.

მუხლი 42. პენსიის გადახდა მარჩენლის დაკარგვის შემთხვევაში ბავშვებისათვის, რომლებიც სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე არიან

უდედმამო ობოლ ბავშვებს სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე ყოფნის პერიოდში პენსიები მიეცემათ სრული ოდენობით.

სხვა ბავშვებს, რომლებიც სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე არიან, მიეცემათ დანიშნული პენსიის 25 პროცენტი.

მუხლი 43. მშვილებელთა და ნაშვილებთა პენსიის უფლება

მშვილებლებს პენსიის უფლება აქვთ მშობლების თანასწორად, ხოლო ნაშვილებს — ღვიძელი შვილების თანასწორად.

არასრულწლოვანნი, რომლებსაც მარჩენლის დაკარგვის გამო პენსიის უფლება აქვთ, ინარჩუნებენ ამ უფლებას მათი შვილად აყვანის შემთხვევაშიც.

მუხლი 44. მამინაცვლისა და დედინაცვლის, გერის პენსიის უფლება

მამინაცვალსა და დედინაცვალს პენსიის უფლება აქვთ მამისა და დედის თანასწორად იმ პირობით, თუ ისინი ზრდიდნენ ან არჩენდნენ გარდაცვლილ გერს სულ ცოტა 5 წლის განმავლობაში.

გერს, თუ იგი არ იღებდა ალიმენტებს მშობლებისაგან, პენსიის უფლება აქვს ღვიძლი შვილების თანასწორად.

მუხლი 45. პენსიების შენარჩუნება ახალი ქორწინების დროს

მეუღლის სიკვდილის გამო დანიშნული პენსია პენსიონერს შეუნარჩუნდება ხელახალი ქორწინების შემთხვევაშიც.

მუხლი 46. მარჩენლის მუშაობის სტაჟი, რომელიც პენსიის უფლებას იძლევა

შრომითი სახიჩრობის ან პროფესიული დაავადების შედეგად გარდაცვლილი მარჩენლის ოჯახს, აგრეთვე გარდაცვლილი პენსიონერის ოჯახს პენსია ენიშნება მარჩენლის მუშაობის სტაჟის მიუხედავად.

საერთოდ დაავადების ან მუშაობასთან დაკავშირებული სახიჩრობის შედეგად გარდაცვლილი მარჩენლის ოჯახს, აგრეთვე გარდაცვლილი პენსიონერის ოჯახს პენსია ენიშნება, თუ მარჩენალს სიკვდილის დღისათვის ჰქონდა სტაჟი, რომელიც საჭირო იქნებოდა მისთვის ინვალიდობის პენსიის დასანიშნავად (მუხლი 27).

მოსწავლეთა, ასპირანტთა და კლინიკების ორდინატორთა ოჯახებს, რომლებიც სასწავლებელში, კურსებზე, ასპირანტურაში ან კლინიკების ორდინატურაში შესვლამდე არ მუშაობდნენ, პენსიები ენიშნებათ შესაბამისად იმავე საფუძველზე, როგორც ამ მოსწავლეებს, ასპირანტებსა და კლინიკების ორდინატორებს ინვალიდობის პენსიები (მუხლი 30).

სხვა ქვეყნებიდან გადმოსახლებულ საბჭოთა მოქალაქეების ოჯახებს, თუ მარჩენალი სსრ კავშირში არ მუშაობდა, პენსიები ენიშნებათ:

ა) იმათ, ვინც სხვა ქვეყნებში პენსიას იღებდა მარჩენლის დაკარგვის გამო — მარჩენლის მუშაობის სტაჟის მიუხედავად;

ბ) იმათ, ვინც პენსიას არ იღებდა — იმ შემთხვევაში, თუ მარჩენალს ასაკის გამო მუშაობის შეწყვეტის დღისათვის შესაბამისი სტაჟი ჰქონდა (მუხლი 27), ხოლო შრომითი სახიჩრობის ან პროფესიული დაავადების შედეგად მისი სიკვდილის შემთხვევაში — მარჩენლის მუშაობის სტაჟის მიუხედავად.

მუხლი 47. პენსიების ოდენობა

პენსიები მარჩენლის დაკარგვის შემთხვევაში ენიშნებათ შემდეგი ოდენობით:

ყოველ შრომისუუნარო ოჯახის წევრზე — მარჩენლის ხელფასის 30 პროცენტის ოდენობით (მუხლები 76 და 96), მაგრამ არანაკლებს შესაბამისი კატეგორიის შრომითუუნაროთათვის დადგენილი სოციალური პენსიისა.

ბავშვებისათვის, რომლებმაც ორივე მშობელი დაკარგეს (უდედმამოებისათვის), ან გარდაცვლილი მარტოხელა დედის ან ბავშვებისათვის პენსია ყოველ ბავშვზე არ უნდა იყოს სოციალური პენსიის ორჯერად ოდენობაზე ნაკლები.

მუხლი 48. უდედმამოთა პენსიების გამოანგარიშება

ოჯახებისათვის, რომელთა შემადგენლობაში შედიან ორივე მშობელდაკარგული (უდედმამო) ბავშვები, პენსია გამოიანგარიშება ორივე მშობლის ხელფასის საერთო თანხიდან.

მუხლი 49. პენსიები მუშაობის არასრული სტაჟის დროს

ოჯახის წევრებს, რომელმაც დაკარგა მარჩენალი, რომელიც გარდაიცვალა საერთო დაავადების შედეგად და არ ჰქონდა ინვალიდობის გამო სრული პენსიის დანიშვნის საკმარისი სტაჟი (მუხლი 27), პენსია ენიშნებათ არასრული სტაჟის დროს ოდენობით, რომელიც მარჩენლის მუშაობის სტაჟის პროპორციულია.

გარდაცვლილ პენსიონერთა ოჯახებს, რომლებიც პენსიას იღებდნენ არასრული სტაჟით, პენსია ენიშნებათ მუშაობის სტაჟის პროპორციულად, რომლის მიხედვითაც პენსია დაენიშნა გარდაცვლილ მარჩენალს.

ამასთან, პენსია ოჯახის ყოველ შრომისუუნარო წევრზე არ უნდა იყოს შესაბამისი კატეგორიის შრომისუუნარობისათვის დადგენილ სოციალურ პენსიაზე ნაკლები.

მუხლი 50. მოსწავლეთა ოჯახების პენსიათა ოდენობა

უმაღლესი, საშუალო სპეციალური სასწავლო დაწესებულების, სასწავლებლებსა და კადრების მოსამზადებელი კურსების იმ მოსწავლეების, ასპირანტებისა და კლინიკების ორდინატორების ოჯახებს, რომლებიც სასწავლებელში, კურსებზე, ასპირანტურაში ან ორდინატურაში შესვლამდე არ მუშაობდნენ, პენსია ენიშნებათ ამ კანონის 47-ე მუხლით დადგენილი ოდენობით.

მუხლი 51. მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ პირთა ოჯახების პენსიათა ოდენობა

იმ მოქალაქეთა ოჯახებს (რომლებიც აღნიშნული არ არიან მე-3 მუხლის „ა“-„გ“ და „თ“ პუნქტებში), რომლებიც დაღუპნენ სახელმწიფო ან საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულებასთან, ანდა ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად, სოციალისტური საკუთრებისა და მართლწესრიგის დასაცავად სსრ კავშირის მოქალაქის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, პენსიები ენიშნებათ ამ კანონის 47-ე მუხლით დადგენილი ოდენობით.

მუხლი 52. პენსიონერთა ოჯახების პენსიათა ოდენობა

გარდაცვლილ პენსიონერთა ოჯახებს პენსიები ენიშნებათ შესაბამისად იმავე ნორმებით, როგორც ამ კანონის მე-3 მუხლში აღნიშნულ მოქალაქეთა ოჯახებს.

მუხლი 53. ვადით შეუნღუდავი პენსიის დანიშვნისათვის მიმართვის უფლება.

ოჯახს, რომელსაც მარჩენლის დაკარგვის გამო პენსიის უფლება აქვს, პენსიის დასანიშნავად შეუძლია მიმართოს ყოველ დროს მარჩენლის სიკვდილის ან მისი უკვალოდ დაკარგვის დადგენის შემდეგ, ყოველგვარი ვადით შეუზღუდავად.

მარჩენლის დაკარგვის გამო პენსიები ენიშნებათ:

ა) ამ კანონის მე-3 მუხლში აღნიშნულ პირთა ოჯახებს — იმის მიუხედავად, თუ როდის გარდაიცვალა მარჩენალი: შუშაობის (სწავლის) პერიოდში თუ მუშაობის (სწავლის) შეწყვეტის შემდეგ;

ბ) ეროსიონერთა ოჯახებს, თუ მარჩენალი გარდაიცვალა პენსიის მიღების პერიოდში ან პენსიის გადახდის შეწყვეტის შემდეგ არა უგვიანეს 5 წელიწადში.

მუხლი 54. პერიოდი, რომელშიც პენსია ინიშნება. პენსიის ოდენობის შეცვლა

პენსია მარჩენლის დაკარგვის გამო დგინდება მთელი პერიოდისათვის, რომლის განმავლობაში გარდაცვლილის ოჯახის წევრი ითვლება შრომისუუნაროდ ამ კანონის მე-40 მუხლის თანახმად, ხოლო ოჯახის წევრებს, რომლებმაც მიაღწიეს: მამაკაცებმა — 60 წელს, ქალებმა—55 წელს — სამუდამოდ.

პენსიის ოდენობის შეცვლა ან მისი გადახდის შეწყვეტა ოჯახის წევრებისათვის ხდება იმ მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, რომელშიც მოხდა პენსიის ოდენობის შეცვლის ან გადახდის შეწყვეტის გამომწვევი გარემოებანი.

მუხლი 55. ოჯახის ყველა წევრისათვის ერთი პენსიის დანიშვნა. პენსიის წილის გამოყოფა.

პენსიის უფლების მქონე ოჯახის ყველა წევრს ენიშნებან ერთი საერთო პენსია.

ოჯახის თითოეული წევრის მოთხოვნით მისი პენსიის წილი გამოიყოფა და ცალკე ეძლევა.

პენსიის წილის გამოყოფა ხდება იმ მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, რომელშიც შეტანილი იყო განცხადება პენსიის გაყოფის შესახებ.

მუხლი 56. პენსიის ოდენობა ოჯახის წევრთა რიცხვის შეცვლის დროს

ოჯახის წევრთა რიცხვის შეცვლის დროს, რომლებიც უზრუნველყოფილ არიან პენსიით მარჩენლის დაკარგვის გამო, პენსია შესაბამისად იზრდება ან მცირდება პენსიის უფლების მქონე ოჯახის წევრთა რიცხვის მიხედვით.

პენსიის ასეთივე გადასინჯვა ხდება იმ შემთხვევებშიც, როცა ოჯახის ერთ-ერთი წევრისათვის პენსიის გადახდა წყდება ან ახლდება შეჩერების გამომწვევ გარემოებათა გასვლის შემდეგ.

მუხლი 57. ოჯახის წევრთა ინვალიდობის დადგენის წესი და ვადები.

ოჯახის ინვალიდ წევრებზე შესაბამისად ვრცელდება წესები, რომლებიც ჩამოყალიბებულია ამ კანონის 26, 36, 37-ე მუხლებში, 38-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილში.

მუხლი 58. პენსიათა გადახდა ხელფასის ან სხვა შემოსავლის მიუხედავად

მარჩენლის დაკარგვის გამო პენსია გაიცემა მთლიანად, პენსიონერის ხელფასის ან სხვა შემოსავლის მიუხედავად.

ნამსახურობის პენსიები

ზოგადი პირობები

მუხლი 59. ნამსახურობისათვის საპენსიო უზრუნველყოფის საფუძვლები

ნამსახურობის პენსიები ენიშნებათ იმ სამუშაოებზე დასაქმებულ ცალკეულ კატეგორიათა მოქალაქეებს, რომელთა შესრულებას მოსდევს პროფესიული შრომისუნარიანობის ან გამოსადგომობის დაკარგვა იმ ასაკის დადგომამდე, რომელიც ასაკობრივი პენსიის დანიშვნის უფლებას იძლევა.

მუხლი 60. მუშაკები, რომლებსაც პენსიის უფლება აქვთ

ნამსახურობის პენსიის უფლება აქვთ:

ავიაციისა და მფრინავ-გამომცდელი შემადგენლობის ცალკეულ კატეგორიათა მუშაკებს;

სალოკომოტივო ბრიგადების მუშებსა და ცალკეულ კატეგორიათა მუშაკებს, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ გადაზიდვა-გადაყვანის ორგანიზაციას და უზრუნველყოფენ მოძრაობის უსაფრთხოებას რკინიგზის ტრანსპორტზე და მეტროპოლიტენში;

შახტებში, მაღაროებში, ჭიაღლებსა და მადნის კარიერებში ქვანახშირის, ფიქლის, მადნის გამტანის ტექნოლოგიურ პროცესში უშუალოდ დასაქმებულ საქმაროთო ავტომობილების მძღოლებს;

ნავსადგურების დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებზე კომპლექსური ბრიგადების მექანიზატორებს (დოკერ-მექანიზატორებს), აგრეთვე საზღვაო, სამდინარო ფლოტის და თევზის მრეწველობის ფლოტის მცურავ შემადგენლობას (ნავსადგურის აკვატორიაში მუდმივად მომუშავე ნავსადგურის, სასამსახურო-დამხმარე, სამომსცელო, საგაერეუბნო და შიდასაქალაქო მიმოსვლის გემების გარდა);

ექსპედიციების, პარტიების, რაზმების, უბნებისა და ბრიგადების მუშაკებს, რომლებიც უშუალოდ არიან დასაქმებულნი საველე გეოლოგიურ-სადაზვერვო, სამიები, ტოპოგრაფიულ-გეოდეზიურ, გეოფიზიკურ, ჰიდროგრაფიულ, ჰიდროლოგიურ, ტყეთმოწყობისა და კვლევითს სამუშაოებზე;

მუშებსა და ოსტატებს (მათ შორის უფროს ოსტატებს), რომლებიც უშუალოდ არიან დასაქმებული ხე-ტყის დამზადებასა და დაცურებაზე, მათ მექანიზმებისა და მოწყობილობის მომსახურებაზე;

მეცხვარეებს, რომლებიც დასაქმებული არიან ზაღლი მთის სამოვრებზე და უდაბურ უწყლო რაიონებში, მეირმეებს უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში;

თეატრებისა და სხვა თეატრალურ-სანახაობითი საწარმოებისა და კოლექტივების ზოგიერთი კატეგორიის მსახიობებს.

მუხლი 61. პენსიათა ოდენობა

ნამსახურობისათვის პენსიები ენიშნებათ ასაკობრივი პენსიებისათვის ამ კანონის მე-20 და 22-ე მუხლებით დადგენილი ოდენობით.

პენსიები გამოიანგარიშება საშუალო თვიური ხელფასიდან (მუხლები 76-81, 83 და 96), რომელსაც იღებენ მუშაობის შეწყვეტის წინ, ნამსახურობისათვის პენსიის მიღების უფლებას რომ იძლევა (მუხლები 63-65).

მუხლი 62. მუშაობის პერიოდში პენსიათა გადახდის წესი

მუშაობის პერიოდში ნამსახურობისათვის პენსიები ეძლევთან ამ კანონის 24-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

საამოქალაქო ავიაციისა და გამოვცდელ მფრინავთა შემადგენლობის ცალკეულ კატეგორიათა მუშაკების ნამსახურობის პენსიები

მუხლი 63. პენსიის უფლების მქონე მუშაკები

ნამსახურობის პენსიის უფლება აქვთ ავიაციის, აგრეთვე მფრინავ-გამომცდელი შემადგენლობის შემდეგ კატეგორიათა მუშებსა და მოსამსახურეებს, იმ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, სადაც ისინი მუშაობენ:

ა) მფრინავთა და მფრინავ-გამომცდელთა შემადგენლობის მუშაკებს, თუ ამ თანამდებობებზე ნამსახურობის წლები აქვთ არანაკლებ 25 წლისა — მამაკაცებს და არანაკლებ 20 წლისა—ქალებს.

საფრენოსნო სამუშაოდან ჯანმრთელობის მდგომარეობის (ავადმყოფობის) გამო დათხოვნილ აღნიშნულ მუშაკებს, თუ ნამსახურობის წლები აქვთ მამაკაცებს არანაკლებ 20 წლისა და ქალებს — არანაკლებ 15 წლისა, პენსიის უფლება ეძლევათ ნამუშევარი დროის პროპორციულად.

საფრენოსნო შემადგენლობის მუშაკთა თანამდებობების ნუსხა, მათთვის პენსიების დასანიშნავად ნამსახურობის წლების ვადების დაანგარიშების წესი, აგრეთვე მფრინავ-გამომცდელი შემადგენლობისათვის პენსიების დანიშვნისა და გადახდის წესი მტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით;

ბ) მუშაკებს, რომლებიც ახორციელებენ საჰაერო მიმოსვლის მართვას და აქვთ დისპეტჩერის მოწმობა:

მამაკაცებს, რომლებსაც შეუსრულდათ 55 წელი და აქვთ მუშაობის საერთო სტაჟი არანაკლებ 25 წლისა, აქედან საჰაერო ხომალდების ფრენის უშუალო მართვისათვის მუშაობის სულ ცოტა 12 წელი და 6 თვე;

ქალებს, რომლებსაც შეუსრულდათ 50 წელი და აქვთ მუშაობის არანაკლებ 25 წლისა, აქედან საჰაერო ხომალდების ფრენის უშუალო მართვისათვის მუშაობის სულ ცოტა 12 წელი და 6 თვე;

ქალებს, რომლებსაც შეუსრულდათ 50 წელი და აქვთ მუშაობის არანაკლებ 20 წლის საერთო სტაჟი, აქედან სულ ცოტა 10 წელი აღნიშნულ სამუშაოზე;

გ) ექსპედიციების, პარტიების, რაზმების, უბნებისა და ბრიგადების მუშაკებს, რომლებიც უშუალოდ არიან დასაქმებულნი საველე გეოლოგიურ-სადაზვერვო, სამიები, ტოპოგრაფიულ-გეოდეზიურ, გეოფიზიკურ, ჰიდროგრაფიულ, ჰიდროლოგიურ, ტყეთმოწყობისა და კვლევითს სამუშაოებზე:

მამაკაცებს, რომლებსაც შეუსრულდათ 55 წელი და აქვთ მუშაობის არანაკლებ 25 წლის საერთო სტაჟი, აქედან სულ ცოტა 12 წელი და 6 თვე;

ქალებს, რომლებსაც შეუსრულდათ 50 წელი და აქვთ მუშაობის სულ ცოტა 20 წლის საერთო სტაჟი, აქედან სულ ცოტა 10 წელი აღნიშნულ სამუშაოზე;

დ) ნავსადგურებში დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოებზე დასაქმებული კომპლექსური ბრიგადების მექანიზატორებს (დოკერ-მექანიზატორებს): მამაკაცებს, რომლებსაც შეუსრულდათ 55 წელი და აქვთ მუშაობის არანაკლებ 25 წლის სტაჟი, აქედან სულ ცოტა 20 წელი აღნიშნულ სამუშაოზე;

ქალებს, რომლებსაც შეუსრულდათ 50 წელი და აქვთ მუშაობის სულ ცოტა 20 წლის საერთო სტაჟი, აქედან სულ ცოტა 15 წელი აღნიშნულ სამუშაოზე.

ე) საზღვაო, სამდინარო ფლოტის და თევზის მრეწველობის ფლოტის გემების მცურავ შემადგენლობას (გარდა ნავსადგურის აკვატორიაში მუდმივად მომუშავე სანავსადგურო, სასამსახურო-დამხმარე, სამიმოსვლო, საგაერეუბნო და შიდასაქალაქო მიმოსვლის გემებისა):

მამაკაცებს, რომლებსაც შეუსრულდათ 55 წელი და აქვთ მუშაობის სულ ცოტა 25 წლის სტაჟი, აქედან სულ ცოტა 12 წელი და 6 თვე აღნიშნულ სამუშაოზე;

ქალებს, რომლებსაც შეუსრულდათ 50 წელი და აქვთ მუშაობის სულ ცოტა 20 წლის საერთო სტაჟი, აქედან სულ ცოტა 10 წელი აღნიშნულ სამუშაოზე;

ვ) ექსპედიციების, პარტიების, რაზმების, უბნებისა და ბრიგადების მუშაკებს, რომლებიც უშუალოდ არიან დასაქმებული საველე გეოლოგიურ-სადაზვერვო, სამიები, ტოპოგრაფიულ-გეოდეზიურ, გეოფიზიკურ, ჰიდროგრაფიულ, ჰიდროლოგიურ, ტყეთმოწყობისა და კვლევითს სამუშაოებზე:

მამაკაცებს, რომლებსაც შეუსრულდათ 55 წელი და აქვთ მუშაობის სულ ცოტა 25 წლის საერთო სტაჟი, აქედან სულ ცოტა 12 წელი და 6 თვე აღნიშნულ სამუშაოზე;

ქალებს, რომლებსაც შეუსრულდათ 50 წელი და აქვთ მუშაობის სულ ცოტა 20 წლის საერთო სტაჟი, აქედან სულ ცოტა 10 წელი აღნიშნულ სამუშაოზე;

ზ) მეირმეებს უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში:

მამაკაცებს, რომლებსაც შეუსრულდათ 50 წელი და აქვთ მუშაობის სულ ცოტა 25 წლის სტაჟი;

ქალებს, რომლებსაც შეუსრულდათ 45 წელი და აქვთ მუშაობის სულ ცოტა 20 წლის სტაჟი;

სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ცალკეულ კატეგორიათა მუშაკების ნამსახურობის პენსიები

მუხლი 64. პენსიის უფლების მქონე მუშაკები

ნამსახურობის პენსიის უფლება აქვთ:

ა) სალოკომოტივო ბრიგადების მუშებსა და ცალკეულ კატეგორიათა მუშაკებს, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ ტვირთზიდვის ორგანიზაციას და უზრუნველყოფენ უსაფრთხო მოძრაობას რკინიგზის ტრანსპორტზე და მეტროპოლიტენებში — პროფესიათა და თანამდებობათა ნუსხის მიხედვით, რომელიც მტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით; სატვირთო ავტომობილების მძღოლებს, რომლებიც უშუალოდ არიან დასაქმებული ტექნოლოგიურ პროცესში მიბტებში, მაღაროებში, ჭრილებსა და მაღაროთა კარიერებში ქვანახშირის, ფიქლის, მადნის, ქანის გამოტანაზე;

მამაკაცებს, რომლებსაც შეუსრულდათ 55 წელი და აქვთ მუშაობის არანაკლებ 25 წლის საერთო სტაჟი, აქედან სულ ცოტა 12 წელი და 6 თვე აღნიშნულ სამუშაოზე;

ქალებს, რომლებსაც შეუსრულდათ 50 წელი და აქვთ მუშაობის არანაკლებ 25 წლის საერთო სტაჟი, აქედან სულ ცოტა 10 წელი აღნიშნულ სამუშაოზე;

ბ) ექსპედიციების, პარტიების, რაზმების, უბნებისა და ბრიგადების მუშაკებს, რომლებიც უშუალოდ არიან დასაქმებული საველე გეოლოგიურ-სადაზვერვო, სამიები, ტოპოგრაფიულ-გეოდეზიურ, გეოფიზიკურ, ჰიდროგრაფიულ, ჰიდროლოგიურ, ტყეთმოწყობისა და კვლევითს სამუშაოებზე:

მამაკაცებს, რომლებსაც შეუსრულდათ 55 წელი და აქვთ მუშაობის სულ ცოტა 25 წლის საერთო სტაჟი, აქედან სულ ცოტა 12 წელი და 6 თვე აღნიშნულ სამუშაოზე;

ქალებს, რომლებსაც შეუსრულდათ 50 წელი და აქვთ მუშაობის სულ ცოტა 20 წლის საერთო სტაჟი, აქედან სულ ცოტა 10 წელი აღნიშნულ სამუშაოზე;

გ) სამხედრო სამსახური და პარტიზანულ რაზმებსა და შენაერთებში ყოფნა, სამსახური სახელმწიფო უშიშროების ორგანოებსა და შინაგან საქმეთა ორგანოებში;

დ) სამსახური გასამხედროებულ დაცვაში, სპეციალური კავშირგაბმულობის ორგანოებსა და სამთო-სამაშველო ნაწილებში, მათი საქმეიუწყებო დაქვემდებარებისა და სპეციალური ან სამხედრო წოდების არსებობის მიუხედავად;

ე) წვავლება უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლო დაწესებულებებში, სასწავლებლებში, სკოლებში და კადრების მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების კურსებზე, ასპირანტურაში, დოქტორანტურასა და კლინიკურ ორდინატურაში;

ვ) დროებითი შრომისუუნარობა, რომელიც მუშაობის პერიოდში დაიწყო;

ზ) I ჯგუფის ინვალიდის ან 16 წლამდე ინვალიდი ბავშვის, აგრეთვე 80 წლის ასაკს მიღწეული ღრმად მოხუცებულის მოვლის დრო;

თ) არამომუშავე დედის მიერ მცირეწლოვანი ბავშვების მოვლის დრო, მაგრამ არა უმეტეს თითოეული ბავშვის მიერ 3 წლის ასაკის მიღწევამდე, სულ 6 წლის ფარგლებში;

ი) ოფიცერთა შემადგენლობის, პრაპორშჩიკთა, მიჩმანთა და ზეადაანი სახმხედრო სამსახურის მოსამსახურეთა ცოლების იმ ადგილებში ქმრებთან ცხოვრების პერიოდი, სადაც არ იყო სპეციალობის მიხედვით მათი შრომითი მოწყობის შესაძლებლობა, მაგრამ არა უმეტეს 10 წლისა.

ყოველი წლის მუშაობისათვის ასაკობრივი პენსიის ოდენობის მომატებისას (მუხლი 20) მუშაობასთან ერთად მხედველობაში მიიღება აგრეთვე წინამდებარე კანონის ამ მუხლის „ბ“-„თ“ პუნქტებითა და 68-70, 72 და 73-ე მუხლებით დროსა დადგენილნენული პერიოდები. ასაკობრივი პენსიის დანიშვნის შემდეგ მუშაობის დრო ჩაითვლება სტაჟში, თუ პენსიონერი პენსიას არ იღებდა ამ პერიოდში.

მიწისქვეშა მუშაობის სტაჟის გამოანგარიშებისას, რომელიც შეღავათიანი პირობებით ასაკობრივი პენსიის უფლებას იძლევა (მუხლი 15), ამ სამუშაოზე მიღებული შრომითი სახიჩრობის ან პროფესიული დაავადების შედეგად ინვალიდობის დრო შედის აღნიშნულ სტაჟში.

ამ კანონის მე-14 და მე-15 მუხლების შესაბამისად შეღავათიანი პირობებით პენსიებისა და 64-ე მუხლის შესაბამისად ნამსახურობაში ითვლებათ აგრეთვე ამ მუხლის „ი“ და „კ“ პუნქტებში აღნიშნული მუშაობა;

დ) ბორტგამყოლებს:

მამაკაცებს, რომლებსაც შეუსრულდათ 55 წელი და აქვთ მუშაობის არანაკლებ 25 წლის საერთო სტაჟი, აქედან სულ ცოტა 15 წელი ბორტგამყოლად მუშაობისა;

ქალებს, რომლებსაც შეუსრულდათ 45 წელი და აქვთ არანაკლებ 20 წლის მუშაობის საერთო სტაჟი, აქედან სულ ცოტა 10 წელი — ბორტგამყოლად მუშაობისა;

ქალებს, რომლებსაც შეუსრულდათ 50 წელი და აქვთ მუშაობის სულ ცოტა 20 წლის საერთო სტაჟი, აქედან სულ ცოტა 10 წელი აღნიშნულ სამუშაოზე;

დ) ნავსადგურებში დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოებზე დასაქმებული კომპლექსური ბრიგადების მექანიზატორებს (დოკერ-მექანიზატორებს): მამაკაცებს, რომლებსაც შეუსრულდათ 55 წელი და აქვთ მუშაობის არანაკლებ 25 წლის სტაჟი, აქედან სულ ცოტა 20 წელი აღნიშნულ სამუშაოზე;

ქალებს, რომლებსაც შეუსრულდათ 50 წელი და აქვთ მუშაობის სულ ცოტა 20 წლის საერთო სტაჟი, აქედან სულ ცოტა 10 წელი აღნიშნულ სამუშაოზე;

ე) საზღვაო, სამდინარო ფლოტის და თევზის მრეწველობის ფლოტის გემების მცურავ შემადგენლობას (გარდა ნავსადგურის აკვატორიაში მუდმივად მომუშავე სანავსადგურო, სასამსახურო-დამხმარე, სამიმოსვლო, საგაერეუბნო და შიდასაქალაქო მიმოსვლის გემებისა):

მამაკაცებს, რომლებსაც შეუსრულდათ 55 წელი და აქვთ მუშაობის სულ ცოტა 25 წლის სტაჟი, აქედან სულ ცოტა 12 წელი და 6 თვე აღნიშნულ სამუშაოზე;

ქალებს, რომლებსაც შეუსრულდათ 50 წელი და აქვთ მუშაობის სულ ცოტა 20 წლის საერთო სტაჟი, აქედან სულ ცოტა 10 წელი აღნიშნულ სამუშაოზე;

ვ) ექსპედიციების, პარტიების, რაზმების, უბნებისა და ბრიგადების მუშაკებს, რომლებიც უშუალოდ არიან დასაქმებული საველე გეოლოგიურ-სადაზვერვო, სამიები, ტოპოგრაფიულ-გეოდეზიურ, გეოფიზიკურ, ჰიდროგრაფიულ, ჰიდროლოგიურ, ტყეთმოწყობისა და კვლევითს სამუშაოებზე:

მამაკაცებს, რომლებსაც შეუსრულდათ 55 წელი და აქვთ მუშაობის სულ ცოტა 25 წლის საერთო სტაჟი, აქედან სულ ცოტა 12 წელი და 6 თვე აღნიშნულ სამუშაოზე;

ქალებს, რომლებსაც შეუსრულდათ 50 წელი და აქვთ მუშაობის სულ ცოტა 20 წლის საერთო სტაჟი, აქედან სულ ცოტა 10 წელი აღნიშნულ სამუშაოზე.

ცალკეულ სახეობათა გემების, საზღვაო, სამდინარო ფლოტის და თევზის მრეწველობის ფლოტის გემების მცურავი შემადგენლობის ცალკეულ პროფესიათა და თანამდებობათა მუშაკებს ნუსხის მიხედვით, რომელიც მტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით, ასაკის მიუხედავად:

მამაკაცებს, რომლებსაც შეუსრულდათ 55 წელი და აქვთ მუშაობის არანაკლებ 25 წლის საერთო სტაჟი, აქედან სულ ცოტა 12 წელი და 6 თვე აღნიშნულ სამუშაოზე;

ქალებს, რომლებსაც შეუსრულდათ 50 წელი და აქვთ მუშაობის არანაკლებ 20 წლის საერთო სტაჟი, აქედან სულ ცოტა 10 წელი აღნიშნულ სამუშაოზე;

ამასთან ნებადართული წლის ან ნახევარ წელზე მეტი ხნის განმავლობაში უშუალოდ საველე პირობებში მუშაობის პერიოდი ითვლება მუშაობის ერთ წლად, ხოლო ნახევარ წელზე ნაკლები— ფაქტობრივი ხანგრძლივობით, ხოლო სეზონურ სამუშაოზე — ამ კანონის 73-ე მუხლის შესაბამისად;

გ) მუშებსა და ოსტატებს (მათ შორის უფროს ოსტატებს), რომლებიც უშუალოდ არიან დასაქმებული ხე-ტყის დამზადებასა და დაცურებაზე, მათ შორის მექანიზმებისა და მოწყობილობის მომსახურებაზე, — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით დამტკიცებულ პროფესიათა, თანამდებობათა და წარმოებათა ნუსხის მიხედვით:

მამაკაცებს, რომლებსაც შეუსრულდათ 55 წელი და აქვთ მუშაობის სულ ცოტა 25 წლის საერთო სტაჟი, აქედან სულ ცოტა 12 წელი და 6 თვე აღნიშნულ სამუშაოზე;

პენსიები თეატრებისა და სხვა თეატრალურ-სანახაობითი საწარმოებისა და კოლექტივების ზოგიერთი კატეგორიის მსახიობების ნამსახურობისათვის

მუხლი 65. პენსიის უფლების მქონე მსახიობები

20-დან 30 წლამდე შემოქმედებითი საქმიანობის სტაჟის დროს ნამსახურობისათვის პენსიის უფლება აქვთ თეატრებისა და სხვა თეატრალურ-სანახაობითი საწარმოებისა და კოლექტივების ცალკეულ კატეგორიათა მსახიობებს — ნუსხის მიხედვით, რომელიც მტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

მუხლი 66. სამხედრო სამსახურის ნამსახურობაში შეტანის პირობები.

თეატრების, სხვა თეატრალურ-სანახაობითი საწარმოებისა და კოლექტივების მსახიობთა შემოქმედებითი მუშაობის სტაჟში შედის სპეციალობის მიხედვით მათი სამხედრო სამსახურის დრო იმ პირობით, თუ ნამსახურობისათვის პენსიის დანიშვნის საპერო სტაჟის სულ ცოტა ორი მესამედი მოდის იმ თანამდებობებით მუშაობაზე, რომლებიც ამ პენსიის უფლებას იძლევა.

შრომითი პენსიების დანიშვნისათვის მუშაობის სტაჟის გამოანგარიშება

მუხლი 67. შრომითი საქმიანობის სახეობები, რომლებიც მუშაობის სტაჟში ითვლება

მუშაობის სტაჟში ითვლება მუშაობა, რომელიც სრულდება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და კოოპერატივებში, საკუთრებისა და მეურნეობრიობის გამოყენებული ფორმების მიუხედავად, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების წევრობის საფუძველზე, მუშაობის ხასიათისა და ხანგრძლივობის და წყვეტილობის ხანგრძლივობის მიუხედავად.

1965 წლის შემდეგ პერიოდში კოლმეურნეობაში მუშაობის სტაჟის გამოანგარიშების დროს, თუ კოლმეურნეობის წევრი სპეციალობის გარეშე არ ასრულებდა საზოგადოებრივ მეურნეობაში შრომითი მონაწილეობის დადგენილ მინიმუმს, გათვალისწინებულია მუშაობის დრო ფაქტობრივი ხანგრძლივობით.

მუშაობის სტაჟში ითვლება აგრეთვე:

ა) ყოველი სხვა სამუშაო, რომელზეც მუშაკი ექვემდებარებოდა სახელმწიფო სოციალურ დაზღვევას;

ბ) ამ კანონის მე-3 მუხლის „ვ“ პუნქტით გათვალისწინებული პირთა შემოქმედებითი საქმიანობა. ამასთან სსრ კავშირის მფრინავთა კავშირის, სსრ კავშირის მზატვართა კავშირის, სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის, სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის, სსრ კავშირის თეატრის მოღვაწეთა კავშირის წევრთა სხვა შემოქმედებითს მუშაკთა შემოქმედებითი საქმიანობა, რომლებიც არ არიან შემოქმედებითი კავშირების წევ